ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მინდია თავაძე

1841 წლის გურიის აჯანყება

(წარმოდგენილია ისტორიის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ასოც. პროფესორი, ისტორიის აკადემიური დოქტორი სულხან ალექსაია

ხიჭაური - 2021

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

წარმოდგენილ ნაშრომში პლაგიატის არ არსებობის შესახებ

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მინდია თავაძე

2021

შინაარსი

ანოტაცია……..

Annotation.....

შესავალი.....

თავი I. წყაროები და ისტორიოგრაფია.....

თავი II. გურიის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება.....

თავი III. გურია XIX საუკუნის დასაწყისში

3.1. პოლიტიკური ვითარება.....

3.2. სოციალურ-ეკონომიკური ვითარება.....

თავი IV. აჯანყების მსვლელობა

4.1. აჯაყების წინაპირობები.....

4.2. აჯანყების დაწყება.....

4.3. ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები აჯანყების

შესაჩერებლად.....

4.4. აჯანყების გაძლიერება.....

4.5. აჯანყების დამარცხება და აჯანყებულთა გასამართლება.....

დასკვნა.....

გამოყენებული ლიტერატურა.....

ანოტაცია

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია 1841 წლის აჯანყება გურიაში. აქვე განხილულია აჯანყების გამომწვევი მიზეზები - გურიაში შექმნილი რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რომელსაც გარკვეულ წილად განაპირობებდა იმჟამინდელი საშინაო და საგარეო პოლიტიკური ფაქტორები.

დეტალურადაა განხილული აჯანყების დასაწყისი, მსვლელობა, ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები აჯანყების შესაჩერებლად, აჯანყების გაძლიერება, მათი დამარცხება და გასამართლება.

საკითხის ირგვლივ არსებული წყაროებისა და ისტორიოგრაფიის მიმოხილვის შემდეგ გამოთქმულია საინტერესო შეფასებები ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით.

Annotation

შესავალი

XVI საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარში გურიამ მიწების დიდი ნაწილი დაკარგა. გონიოს ციხემდე არსებული ტერიტორია ოსმალებმა ჩაიგდეს ხელთ. XVII საუკუნეში კი, დაიპყრეს ქვემო გურიის დიდი ნაწილი ქალაქ ბათუმითურთ. XVIII საუკუნეში ოსმალებმა დაიკავეს ციხისძირი, ქობულეთი და ხინო. ასე შემცირებული იყო გურიის მიწები XIX საუკუნის დასაწყისში.

1804 წლის „ელაზნაურის ტრაქტატით“ გურია რუსეთის მფარველობაში შევიდა, როგორც იმერეთის სამეფოს ნაწილი. თუმც, გურიელის დაჟინებული მოთხოვნით 1810 წლის 29 ივნისს რუსეთთან ცალკე ხელშეკრულება იქნა გაფორმებული. გურია ცალკე სამთავროს სტატუსით შევიდა რუსეთის მფარველობაში. 1826 წლიდან, მამია გურიელის გარდაცვალების შემდეგ, გურიას მართავდა სამმართველო საბჭო, რომელსაც დედოფალი სოფიო გურიელი მეთაურობდა. 1828-1829 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს სოფიომ ოსმალეთის სულთანს მიმართა მფარველობაში მიღებისა და სამხედრო დახმარების თხოვნით. ოსმალეთის სულთანმა სოფიოს არასრულწლოვანი ვაჟი დავითი გურიის „ხანად” დაამტკიცა, მაგრამ ამას აღსრულება არ ეწერა. 1828 წლის ოქტომბერში გურიაში რუსეთის ჯარი შევიდა. სოფიო გურიელი იძულებული გახდა ოსმალეთში გადახვეწილიყო. 1828 წლის დეკემბერში გურიის სამთავრო იმპერატორ ნიკოლოზ I-ის (1825-1855 წწ.) ბრძანებით გააუქმეს. გურიას თავადთა საბჭო მართვადა რუსი მოხელის თავმჯდომარეობით.

1840 წელს გურიაში თავადთა საბჭო გააუქმეს და რუსული მმართველობა შემოიღეს. ამას მოჰყვა რუსი მოხელეების თვითნებობა. ამას ემატებოდა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ყოველივე ამან გამოიწვია უკმაყოფილება. რასაც მოყვა შედეგად 1841 წლის აჯანყებაც. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ცარისტულმა რუსეთმა მოგვიანებით გურიის ყოფილი სამთავრო ოზურგეთის მაზრის სახით ქუთაისის გუბერნიაში შეიყვანა.

თემის აქტუალობა. საკვლევი თემის აქტუალობას განსაზღვრავს მრავალი გარემოება. აღსანიშნავია ის, რომ აჯანყების დღიდან მოყოლებული ქართულ ისტორიოგრაფიაში ცალკეული მკვლევარები დაინტერესებული არიან და ცდილობენ ახსნან გამომწვევი მიზეზები. შესწავლილია საერთაშორისო ვითარება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფონი, რომელიც ერთგვარი წინაპირობა ხდება ამ აჯანყებისა. ეს საკითხი, რომ აქტუალურია ამას ადასტურებს ისიც, რომ დღემდე არაერთი მკლევარი აქვეყნებს საკითხთან დაკავშირებით საგაზეთო სტატიებსა, თუ სქელტანიან ნაშრომებს. ცდილობენ ნაკლებად ნაცნობ საკითხებზე გაამახვილონ ყურადღება და ცალკეულ დეტალებს მოჰფინონ ნათელი. ჩვენი ნაშრომიც ამის ერთგვარი ცდაა.

კვლევის მიზნები და ამოცანები – სამაგისტრო ნაშრომში მიზნად დავისახეთ თანამედროვე საისტორიო მეცნიერების მოთხოვნათა შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების ობიექტური ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ავხსნათ გურიის 1841 წლის აჯანყების მიზეზები. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დავსახეთ და, ვფიქრობთ, წარმატებით გადავქწყვიტეთ ისეთი ამოცანები, როგორიცაა საკვლევ პერიოდში რეგიონში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესწავლა; აჯანყების წინაპირობები და დაწყების მიზეზები; თუ რა ნაბიჯები გადადგა ხელისუფლებამ ამ აჯანყების შესაჩერებლად და საბოლოოდ, როგორ მოხდა აჯანყებულების დამარცხება და მათი გასამართლება.

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები - ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე საისტორიო მეცნიერების მიერ შემუშავებულ პრინციპთა და მეთოდთა კომპლექსური გამოყენება, როგორიცაა ქრონოლოგიური, ისტორიულ-შედარებითი, სტატისტიკური, რეტროსპექტული, პოლიტიკური ანალიზისა და სხვა.

სამაგისტროს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომში მეცნიერულადაა განხილული 1841 წლის აჯანყება გურიაში. გამოთქმულია

მოსაზრებები და გაკეთებულია დასკვნები, რომელიც გარკვეულ დახმარებას გაუწევს როგორც საკითხის ისტორიით დაინტერესებულ პირებს, ასევე, ახალგაზრდა თაობას და სტუდენტებს.

კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ნაშრომზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის მასალები, ინტერნეტრესურსები.

ნაშრომის სრუქტურა და მოცულობა. წარმოდგენილი ნაშრომი – ,,1841 წლის გურიის აჯანყება“ შედგება შესავლის, ოთხი თავის, შვიდი პარაგრაფის და დასკვნისაგან. თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი I. წყაროები და ისტორიოგრაფია

<u>**წყაროები**</u> - წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომის უმნიშვნელოვანეს საისტორიო წყაროებს წარმოადგენს ს. კაკაბაძის **,,მასალები დას. სოციალური და ეკონომიური ისტორიისთვის“,** (,, საისტორიო კრებული,“ წ,1. თბ. 1928 წ.), ზ. ჭიჭინაძის **,,საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები“** (1, თბ 1924 წ.), მ. დუმბაძის **,,გურიის სამთავროს სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XIX საუკუნის პირველ მესამედში“** (,,მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის“, თბ., 1954 წ.), ივ. ჯავახიშვილის **,,საქართველოს ეკონომიკური ისტორია“** (წიგნი 1, თბ. 1930 წ.), თ, სახოკია, ,,**მოგზაურობანი“** (თბ., 1950), დ. ბაქრაძე **,,Краткий очерк Гурии“,** (1878 г) და **,,Археологическое путешествие по Гурии и Адчаре“** (СПБ. 1878 г.), ა. ფირცხალაიშვილის **,,Имеретия и Гурия в период 1804-1840 г.**“ (Материалы по истории Грузии и Кавказа, Тб. (1942 г., вып. I).

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა **Акты, собранные Кавказской археографической комиссией 1867-1869** წლების გამოცემები. სადაც დეტალურადაა აღწერილი გურიაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება.

გამოქვეყნეული დოკუმენტები. სამაგისტროზე მუშაობისას გამოვიყენეთ დღემდე გამოცემული დოკუმენტური მასალების კრებულები: ნ. ბერძენიშვილის **,,დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“** (2, საბუთები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერზენისვილმა, თბ., 1953 წ.), ო. ევეცკის ნაშრომი **,,Статистическое описание Закавказского края“** (СПБ, 1835 г.), ა. ცაგარელის **,,Грамоты и другие исторические документы“** (т. II, СПБ, 1891 г.).

<u>**ისტორიოგრაფია**</u> - 1841 წლის გურიის აჯანყების შესახებ საბჭოურ პერიოდში გამოცემულ ნაშრომებში ტენდენციური და იდეოლოგიზირებულია. მთელი აქცენტი გადატანილის კლასობრივ ბრძოლაზე და ამ პრიზმაშია დანახული აღნიშნული საკითხი. ასეთი სულისკვეთებითაა დაწერილი გ. ხაჭაპურიძის ნაშრომი **,,გურიის აჯანყება 1841 წელს“** (თბ., 1931წ.), ვ. ჩუდინოვის **,,Возетание гурийев 1841 года“** (Тб., 1937 г.), ი. სიხარულიძე **,,1841 წლის აჯანყება გურიაში“**

(თბ., 1957 წ.), მ. დუმბაძის **,,დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში“** (თბ., 1957 წ.) და სხვ.

მიუხედევად საბჭოთა ცენზურით გამოწვეული ტენდენციურიბისა, აღნიშნულმა ნაშრომებმა გარკვეული დახმარება მაინც გაგვიწიეს თემაზე მუშაობისას. პოსტსაბჭოთა პერიოდის გამოკვლევებში გაცილებით ობიექტურადაა განხილული ჩვენი საკვლევი თემის პრობლემები. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. გურულის ნაშრომი.

გურიის ფოლკლორისა და ხალხური სიტყვიერების შესახებ უმნიშვნელოვანესია პ. უმიკაშვილის **,,ხალხური სიტყვიერება“** (თბ., 1937 წ.) და ალ. ღლონტის **,,გურული ფოლკლორი“** (ნაწ., 1, 1937 წ.).

ეროვნული და პოლიტიკური საკითხები განხილულია ალ. ბენდიანიშვილის **,,ეროვნული საკითხი საქართველოში, 1801-1921 წლებში“** (თბ., 1980), ამავე ავტორის **,,საქართველოს ისტორია“**-ში (თბ., 1999) და ავტორთა ჯგუფის ნაშრომში - ბენდიანიშვილი, ალ., დაუშვილი, ალ., სამსონაძე, მ., ქოქრაშვილი, ხ., ჭუმბურიძე, დ., და ჯანელიძე, ო., **,,რუსული კოლონიალიზმი საქართველოში“** (თბ., 2008). სადაც საკითხი დეტალურადაა შესწავლილი და გადმოცემული.

თავი II. გურიის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება

გურია საქართველოს დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, შავი ზღვის სანაპიროზე. გურიას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება სამეგრელო-ზემო სვანეთი, რომელთა საზღვარი გადის მდინარე ფიჩორზე. სამხრეთიდან გურიას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ესაზღვრება, რომელთა შორის საზღვარი მესხეთის ქედზე გადის. გურიას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან იმერეთი ესაზღვრება ხოლო სამხრეთ აღმოსვლეთიდან სამცხე ჯავახეთი. გურიის ზღვის სანაპირო 22 კილომეტრს შეადგენს. გურიის ფართობი 2033 კვ.კმ.-ია. რაც საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 2,9 % ია.

ისტორიულად გურია გაცილებით დიდ ტერიტორიას მოიცავდა, ის სამ ნაწილად იყოფოდა ზემო გურია რომელიც მოიცავდა ტერიტორიებს მდ. რიონსა და სუფსას შორის, შუა გურია მდ. ჩოლოქსა და სუფსას შორის, ქვემო გურია მდ. ჩოლოქსა და ჭოროხს შორის **(ჩხატარაშვილი, 1985: 6).** ასევე გურია იყოფოდა სამ საეპისკოპოსოდ შემოქმედის, ჯუმათის და ხინოწმინდის.

ვახუშტი ბატონიშვილი გურიას მიაკუთვნებს არა ეგრის არამედ ქართლს და ის ასე აღწეს ამ ფაქტს: ,,ხოლო გურია არა წილი ეგროსისა არს, არამედ ქართლოსისა, გარნა როდეს გამეფდა ლეონ აფხაზთა, მაშინ ამათ არღარა ინებეს მორჩილება ოძრახოს ერისთავისა რომელი იყვნენ ძენი სტეფანოზ ბაგრატიონისანი, ადარნასე და ძე მისი აშოტ ამათგან განდგნენ და მიერთმნენ ლეონს, ვითარცა სახელი აცხადებს: ,,გურიობით განდგომილი“ **(ვახუშტი, 1904: 317).**

გურია პირველად ისტორიულ წყაროებში VIII საუკუნეში იხსენიება როცა საქართველოში მურმან ყრუ ლაშქრობდა, ,,მურმან ყრუმ გაიარა გზა გურიისა“.

გურიის სახელწოდების წარმოშობასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს და მასთან დაკავშირებით ერთიანი მოსაზრება არ არსებობს. გურია თედო სახოკიას მოსაზრებით შეიძლება გულს ნიშნავდეს

რადგანაც მეგრულა გური ნიშნავს გულს. ასევე არსებობს მოსაზრება რომ გურია ძვ. წელთაღრიცხვის მე-8 საუკუნეში არსებული ურარტული ქალაქი გურიანაა (**Извѣстія древнихъ... 1953: 56**). ნიკო მარის აზრით გურია მზის შვილ ნიშნავს. მარი ბროსე გურიას ცეცხცხლთაყვანისმცემელთა ერთ ერთ სახელს ,,გუარეს" უკავშირებს, ნიკოლოზ ბერძენიშვილის აზრით კი გურია რომელიმე დასახლებული პუნქტის სახელწოდებას უკავშირდება მაგ. როგორიც არის სოფელი გურიანთა (**კიკვიძე, 1954: 18**).

გურიის სახელის წარმოშობასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობა არის დაცული ვახუშტი ბატონიშვილთან რომელიც გურიას ,,გურიობით განდგომილნი"-ს (**ვახუშტი, 1904: 317**) უწოდებს. ,,გურიაობა სულხან-საბას ლექსიკონში შემდეგნაირადაა განმარტებული ,,მიდევნება არევით, თუ მიდევნება ოგურთა" (**ორბელიანი, 1991: 179**).

ფეოდალურ საქართველოში გურია საერისთავოდ ჩამოყალიბდა, რომელიც პირველად მოხსენიებულია 1222 წლს. ერისთავების რეზიდენცია ლიხაურში იყო. XIV საუკუნიდან გურიას ოდიშის ერისთავი განაგებდა. გურიის საერისთავოს XIII-XV საუკუნეებში გურიას სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა გენუისა და ვენეციის რესპუბლიკებთან, რომელიც დასტურდება სხვადასხვა საბუთებით. ძირითადად შემოქონდათ ქსოვილი, მარილი თევზი ხოლო ადგილობრივი მოსახლეობისგან ყიდულობდნენ ღომს, ხე-ტყეს, ცვილს და ა.შ. 1444 წელს ბურგუნდიელთა ფლოტი გამოჩნდა ბათუმის სანაპიროსთან რომელსაც ქალაქის გაძარცვა სურდა თუმცა გურიელმა ისინი დაამარცხა და ტყვედ ჩაიგდო. საქართველოს სამეფო სამთავროებად დაშლის შემდეგ, წარმოიქმნა გურიის სამთავრო, მას გურიელები განაგებდნენ და რეზიდენცია ოზურგეთში ჰქონდათ (**კიკვიძე, 1954: 18**).

გურიის სამთავრო შედიოდა იმერეთის სამეფოს დაქვემდებარებაში მაგრამ გურიის მთავრები ცდილობდნენ იმერეთის სამეფოსგან გამოყოფას და დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას რის გამოც ხშირად ომი ჰქონდათ იმერეთის მეფეებთან, გურიას ასევე დაპირისპირება ჰქონდა

ოსმალეთის იმპერიასთან და მასთან გამუდმებულ თავდაცვით ომებს აწარმოებდა, სამწუხაროდ ოსმალეთმა ამ ბრძოლების შედეგად შეძლო ქვემო გურიის მიტაცება.

გურიის სამთავროს ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის იწყება კახაბერ მეორე გურიელის დროს, როდესაც ის დაუპირისპირდა ერთიანი საქართველოს უკანასკნელ მეფეს გიორგი მერვეს, ის ამ ბრძოლაში სამცხის ათაბაგ ყვარყვარე მეორესთან ერთად გამოდიოდა.

1533 წელს გურიის მთავარმა მამია პირველმა გურიელმა ოდიშის მთავართან ერთად ჯიქეთში ილაშქრა თუმცა ეს ლაშქრობა მარცხით დასრულდა რის გამოც ის იძულებული გახდა დროებით იმერეთის მეფეზე დამოკიდებული გამხდარიყო.

XVI საუკუნეში გურიის მთავარი როსტომ გურიელი აქტიურად ეხმარებოდა იმერეთის მეფეს ოსმალეთთან ბრძოლაში სამცხის ტერიტორიაზე, ამის გამო მეფემ გურიელს 1535 წელს აჭარა ჭანეთი დაუმტკიცა თუმცა მალევე ეს ტერიტორიები ოსმალეთმა მიიტაცა და გურიას გაუმეზობლდა.

1609-1612 წლის ირან-ოსმალეთის ომის გამოყენება სცადა მამია მეორე გურიელმა და 1609 წელს აჭარაში შეიჭრა ასევე ხარკის გადახდა შეუწყვიტა ოსმალეთს, ირანთან ომის დასრულების შემდეგ ოსმალეთმა გურიის შავი ზღვის სანაპიროს ბლოკირება მოახდინა რითაც შეწყდა გურიაში ვაჭრობა და მნიშვნელოვანი პროდუქტების შეტანა, ამ ყველაფერმა გურიის მთავარი აიძულა ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულება გაეფორმებინა, 1614 წლის 13 დეკემბერს გურიასა და სმალეთს შორის დაიდო ზავი რომლის ძალითაც გურიელმა დათმო აჭარა, იკისრა ხარკი და აღდგა გურია ოსმალეთის ომამდელი საზღვარი.

XVIII საუკუნეში გურია ურთიერთობას ამყარებს დონისა და ზაპოროჟიეს კაზაკებთან, გურიის მთავარი კაზაკებს უთმობდა საკუთარ ნავსადგურებს ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში, კაზაკებთან ურთიერთობის შედეგია გურულ დიალექტიკაში სიტყვა ,,ყაძახის“ გამოჩენა, ,,კაზაკი“-,,ყაძახი“ **(სურგულაძე, 1961: 2).** ასევე გურიის სამთავრომ ურთიერთობა დაამყარა რეჩ პოსპოლიტასთან, რომელსაც ადასტურებს გურიის სხვადასხვა სოფლებში აღმოჩენილი პოლონური მონეტები ჭანჭათი, მაკვანეთი და ა.შ.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში გურიის მთავრებს ოსმალეთი ამტკიცებდა, გურია ოსმალეთს ხარკის სახით აძლევდა 56 ქალ-ვაჟს. მდგომარეობას ართულებდა დასავლეთ საქართველოში მიმდინარე შიდა ომები ასევე ტყვეთა სყიდვა. ეს ყველაფერი კი ხელს უწყობდა დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის გაძლიერებას.

XVIII საუკუნის დამდეგს გურიის მთავარი რუსეთის დახმარების იმედით იმერეთის მეფესა და დადიანთან ერტად ოსმალეთის წინააღმდეგ გამოვიდა, რის საპასუხოდაც ოსმალებმა 1703 წელს დასავლეთ საქართველოს სანაპირო დაარბიეს. 1723 წელს კი გურიის ზღვისპირა ციხეებში ოსმალთა გარნიზონები ჩადგა.

გურიის სამთავროს გაძლიერება დაიწყო მამია მეოთხე გურიელის მთავრობის დროს, ის ერეკლე მეორესთან ერთად აქტიურად იბრძოდა ოსმალთა წინააღმდეგ, ასევე ის აქტიურად ეხმარებოდა სოლომონ პირველს ანტიოსმალურ ბრძოლაში, მან აკრძალა ტყვეთა სყიდვა, მოაწესრიგა ეკლესიის საქმეები და აშკარად გამოვიდა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მამია მეოთხე აქტიურად მონაწილეობდა 1768-1774 წლის რუსეთ ოსმალეთის ომში, 1769 წელს ოსმალები გურიაში შემოიჭრე თუმცა ისინი მალევე განდევნეს გურიიდან. ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ გურიამ დაკარგა ქვემო გურია და იქ დაწყო ადგილობრივი მოსახლეობის

გამაჰმადიანების პროცესი, მოსახლეობის ნაწილი კი გურიის სხვადასხვა რაიონებში გადასახლდა.

გურიაში XVIII საუკუნის ბოლო და XIX საუკუნის დასაწყისი შიდა აშლილობით გამოირჩეოდა 1792 წელს გარდაიცვალა სიმონ მესამე გურიელი, მას მემკვიდრედ სამი წლის შვილი მამია დარჩა, რითაც მისმა ბიძა, ვახტანგმა, ისარგებლა და მთავრის ტახტი დაიკავა, თუმცა ამ ყველაფერს დაუპირისპირდა მისი ძმა ქაიხოსრო რომელიც ბერად იყო აღკვეცილი და შემოქმედის ეპისკოპოსობას აპირებდა, ის დაბრუნდა ერისკაცობაში გადააყენა ვახტანგი და ტახტის მემკვიდრის რეგენტი გახდა, ქაიხოსროს რეგენტობის დროს გურიის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მან ტყვეთა სყიდვა აკრძალა, გაატარა ეკონომიკური ღონისძიებები, გაამაგრა შემოქმედის ციხე და საკუთარ რეზიდენციად აქცია. ის საგარეო პოლიტიკური კუთხით რუსეთთან ურთიერთობის მომხრე იყო, 1804 წელს მან რუსთთან ქვეშევრდომობაში შესვლა ითხოვა, იმერეთის მეფესა და რუსეთს შორის გაფორმებული 1804 წლის 25 აპრილს ელაზნაურის ტრაქტატით, გურია როგორც იმერეთის ნაწილი რუსეთის მფარველობის ქვეშ შევიდა.

თავი III. გურია XIX საუკუნის დასაწყისში

3.1. პოლიტიკური ვითარება

XIX საუკუნის დამდეგს, გურიის ტერიტორია შემცირებული იყო. განსაკუთრებით ტერიტორიული დანაკარგი გურიამ ოსმალეთთან განიცადა. ,,1547 წელს მტერმა გურიელს მისტაცა ჭანეთი, ხელთ იგდო გონიის ციხე და იგი პლაცდარმად აქცია“ **(სიხარულიძე, 1956: 5).** ოსმალთა შემოტევები განსაკუთრებით გაძლიერდა XVII საუკუნეში, ,,გურიის მთავარი ვეღარ უმკლავდება დამპყრობელს და ჰკარგავს აჭარას. ამავე ხანებში ოსმალები იკავებენ ბათუმსაც“ **(იქვე: 25).** ამ ტერიტორიების დაბრუნებისთვის ბრძოლა წარუმატებლად სრულდებოდა. XVIII საუკუნის დასაწყისიდან ისინი იპყრობენ ციხისძირს, ხოლო შემდეგ ქობულეთსაც და ხინოსაც ეუფლებიან. მიუხედავად ბრძოლისა ამ ტერიტორიების დაბრუნება ვერ ხერხდებოდა, რადგანაც პატარა ,,საქართველოებს“ ამის ძალა არ შესწევდა, მისი დაბრუნება მხოლოდ რუსეთ - ოსმალეთის 1877-1878 წლის ომის შედეგად მოხერხდა.

გურიის სამთავრო ტერიტორიულ შევიწროებას განიცდიდა აღმოსავლეთიდანაც სადაც სადავო საკითხს წარმოადგენდა საჯავახო, რომელიც გურიის რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლის დროს იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში იყო. გურიის მთავარი რუსეთს თხოვდა ამ ტერიტორიის დაბრუნებას. რუსეთის საიმპერატორო კარმა მიიღო რა მხედველობაში გურიელის ,,ერთგულება“ , 1815 წელს გურიელს გადაეცა საჯავახოს ნაწილი კერძოდ ,,მდ. ქოფათის მარცხენა მხარე, ამ მდინარის მარჯვნივ მდებარე ადგილები კი ისევ იმერეთის ფარგლებში დარჩა“ **(Акты, собранные... 1867: 514).**

გურიას ჩრდილოეთიდან სამეგრელოს სამთავრო ესაზრვრებოდა რომელთა შორის საზღვარი ადრე მდინარე რიონზე გადიოდა, მოცემულ პერიოდში კი საზღვარი მდინარე ფიჩორზე იყო გადმონაცვლებული.

მოცემულ პერიოდში ,,გურიის ფართობი 1940 კვადრატულ კილომეტრს უდრიდა, ყოველ 24,2 კვადრატულ კილომეტრზე ერთი სოფელი მოდიოდა“ **(ბაქრაძე, 1878: 96).**

მოურავოვის 1769 წლის ცნობით, ,,გურიაში 5 ათასი მოსახლე ყოფილა“ **(ცაგარელი:73).**

,,ანალოგიურ ცნობას გვაწვდის აკად ი.ა. გილდენშტედტი, პროფ. ალ. ფირცხალაიშვილის აზრით გურიის მცხოვრებთა რიცხვი XVIII საუკუნის ბოლოს 25-30 ათსს არ აღემატებოდა“ (**სიხარულიძე, 1956: 26).**

XIX საუკუნის დასაწყისში გურიის მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა, რასაც ადასტურებს შემოქმედის ჟამ-გულანის მინაწერი: ,,ჩყიბ(1812) წელსა დიდი შიმშილი იყო და შემდეგ ჟამი გამოჩნდა იმავე წელშიდ“ **(ბაქრაძე, 1878: 154).**

გურიაში მოსახლეობის მატება დაიწყო მე-19 საუკუნის ოციან წლებში, ,,1831 წლის კამერალურმა აღწერამ გურიაში ორივე სქესის 36700 მცხოვრები უჩვენა“ **(ევეცკი. 1835: 443).**

პოლკოვნიკ ვროჩენკოს 1837 წლის ცნობით გურიაში მცხოვრები სხვადასხვა წოდების მოსახლეობის რაოდენობა შემდეგ ნაირია: ,, თავადები-160 სული, აზნაურები-2400სული, სამღვდელოება-1500სული, სახაზინო გლეხები- 5000-მდე, საეკლესიო-2500, ხოლო გლეხთა დანარჩენი მასა საბატონო იყო“ **(სიხარულიძე, 1956: 27).**

XIX საუკუნის დასაწყისში გურიის სამთავრო პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა, რასაც ხელს უწყობდა გამუდმებული ფეოდალთა შიდა დაპირისპირებები და ოსმალთა გამუდმებული შემოსევები.

გურიის სამთავროს ტახტის მემკვიდრე, მამია მეხუთე, მცირეწლოვანი იყო რის გამოც გურიას მისი ბიძა ქაიხოსრო გურიელი განაგებდა.

1801 წლის ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და ანექსიის შემდეგ, რუსეთი იმპერიას დასავლეთ საქართველოს გაბატონებაზეც ეჭირა თავლი, რასაც ხელს უწყობდა ადგილობრივების პოლიტიკური დაქსაქსულობა.

1803 წელს რუსეთის მფარველობაში სამეგრელო შევიდა, მალე იმერეთის მეფეც იძულებული გახდა რუსეთის ,,მფარველობა" მიეღო და 1804 წელს ,,ელაზნაურის ტრაქტატი" გააფორმა რუსეთთან, ამ ხელშეკრულებით გურიაც რუსეთის მფარველობაში შედიოდა, როგორც იმერეთის ნაწილი, რადგანაც იმერეთის მეფე სოლომონ მეორე დასავლეთ საქართველოს სამთავროებს მის ვასალად თვლიდა, რუსეთმაც ნაწილობრივ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა **(ჭიჭინაძე, 1924: 25).**

გურიის სამთავროს ამ დროს ქაიხოსრო ბატონიშვილი განაგებდა, ,,მას რუსი ავტორები განათლებულ და ძლიერ პოლიტიკოსად მოიხსენიებენ" **(Мелешко, ,,Кавказ", 1848, №1-2.).**

ქაიხოსრო გურიელს არ მოსწონდა რუსეთის მფარველობაში იმერეთის ნაწილად მიღება თუმცა რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭებასაც ერიდებოდა, ამიტომ მან ვახტანგ ერისთავი გაგზავნა ლიტვინოვთან მადლობის სათქმელად, ასევე მას სთხოვდა რუსეთს ვინმე გამოეგზავნა გურიის ბუნებრივი სიმდიდრეების შესასწავლად შემდგომში რუსეთის მთავრობის მიერ გამოსაყენებლად **(ცაგარელი, 1891: 15).**

ამასთანავე, ,,1804 წლის 18 ივნისს ქაიხოსრომ ლიტვინოვს აცნობა, რომ ახალციხისა და ერზერუმის ფაშებმა, აფხაზეთის მთავარმა ქელეშ-ბეგ შერვაშიძემ მას ელჩები გამოუგზავნეს და მოსთხოვეს - გურიაში რუსები არ შეეშვა" **(Акты,1868: 394; ჩხატარაიშვილი, 1985: 20).**

რუსეთმა ამ ერთგულებისთვის ქაიხოსრო და მამია გურიელების მხარე დაიჭირა, სანაცვლოდ კი მუდმივად იღებდა ცნობებს იმ ადამიანებზე ვინც რუსეთის წინააღმდეგი იყო.

გურიაში რუსეთის ერთგული მოკავშირე და იმერეთის მეფის მოწინააღმდეგე იყო მამია გურიელის დედა მარინა რომელიც იმერეთის მეფის სახლთუხუცესის - ზურაბ წერეთლის და იყო. იგი რუსეთის ფარული აგენტის, თავისი ძმის, ჩაგონებით, ყოველნაირად ებრძოდა იმერეთის მეფის გავლენების გაძლიერებას გურიაში და მეფის ყოველ ნაბიჯს რუსეთს ატყობინებდა (**დუმბაძე, 1954: 27**).

,,როდესაც 1805 წლის დასაწყისში სოლომონ მეორემ ქუთათელისა და გაენათელის პირით აცნობა ქაიხოსროს მოლაპარაკების სურვილი, მან ეს ლიტვინოვს გააგებინა და ეს შეხვედრაც ჩაიშალა, რადგან რუსმა სარდალმა მეფეს ახსნა განმარტება მოსთხოვა ჯარის შეყრის მიზეზზე“ (**Акты,1868: 427**).

1806 წელს მიუხედავად ურჩობისა, ქაიხოსრო იძულებული გახდა სოლომონ მეორისთვის ერთგულება შეეფიცა, მაგრამ არც ეს ფიცი ყოფილა გულწრფელი და ხანგრძლივი. რუსეთი ცდილობდა განხეთქილება ჩამოეგდო მეფე მთავრებს შრის რასაც კარგად ახერხებდა, ასე იყო დასავლეთ საქართველოშიც როდესაც რუსეთის წინააღმდეგ ერთიანი ძალებით გამოსვლის ნაცვლათ, მთავრები მის მხარეს იწერდნენ იმ ტერიტორიების და გავლენების მოსაპოვებლად რის მიცემასაც რუსეთი რა თქმა უნდა არ აპირებდა.ასე ხდებოდა გურიის სამთავროს გარშემოც როცა გურიელი ხან იმერეთის მხარეს დგებოდა და ხანაც რუსეთის (**ჭიჭინაძე, 1924: 25**). .

რუსეთ ოსმალეთის 1806-1812 წლის ომმა, რუსეთის საიმპერატორო კარის დღის წესრიგში დააყენა გურიის საკითხი, ასევე რუსეთის ხელისუფლებაში დიდი იყო ინტერესი ბათუმის მიმართ, ამის გამო ციციანოვის დავალებით ლიტვინოვი ითხოვდა ცნობებს გურიის მთავრისგან თუ როდის დაკარგა გურიამ ბათუმი და ა. შ. ,, ამის შესახებ გარკვეული ინსტრუქცია მიეცა რუსეთის ელჩს კონსტანტინოპოლში - იტალინსკის“ (**იქვე: 471**).

ბაქოსთან ციციანოვის მოკვლის გამო მან ვეღარ მოასწრო ქვემო გურიის შემოერთება და ეს კავკასიის ახალ მმართველს გენერალ ივანე გუდოვიჩს დაევალა.

რუსეთისთვის ოსმალებტან ომის დროს დიდი მნისვნელობა ჰქონდა თუ რა პოზიციას დაიჭერდა დასავლეთ საქართველოს სამეფო სამთავროები და მათი გულის მოსაგებად ყველაფერს აკეთებდა, ამისათვის 1807 წელს გუდოვიჩვა სოლომონ მეორეს მიწერა რომ ის გურიას იმერეთის შემადგენლობაში აღიარებდა, ამავე დროს გუდოვიჩი კარგად იყენებდა გურიის სამთავროს შიდა დაპირისპირებას სადაც ერტმანეთს ვახტანგი და ქაიხოსრო ბატონიშვილები უპირისპირდებოდნენ, ვახტანგის თხოვნით ,,გუდოვიჩმა 1807 წლის 19 თებერვალს უბრძანა გენერალ რიკჰოფს, პირველივე შესაძლებლობისთანავე გურია დაეკავებინა“ **(Акты, 1869: 132).**

ოსმალეთის მთავარ დასაყრდენს შავი ზღვის სანაპიროზე წარმოადგენდა ფოთის ციხე, რომლის აღებაც სცადა გენერალმა რიკჰოფმა, თუმცა მალევე ალყის მოხსნა მოუწია, რადგანაც მიიღო ცნობა რუსთა ჯარის ყარსის ციხესთან მარცხის შესახებ, ფოთის ციხის ალყაში რუსებს აქტიურად ეხმარებოდა ქაიხოსრო გურიელიც რის გამო მან გუდოვიჩისგან მადლობა დაიმსახურა. ფოთის ალყის დროს 1804 წლის ხელშეკრულების უგულვეყოფის გამო იმერეთის მეფემ რუსებს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა და ხელშეკრულების გადასინჯვა მოითხოვა. რუსეთის ხელისუფლებას და სარდლობას სოლომონი აღარ ემორჩილებოდა რის გამოც ,,1808 წლის 10 თებერვალს ალექსანდრე I_მა უბრძანა გუდოვიჩს, გაეუქმებინა იმერეთის სამეფო, ხოლო მეფე ოჯახით რუსეთში გაეგზავნა“ **(ბაქრაძე, 1878: 27).**

რუსეთ-იმერეთის დაპირისპირებაში გურიის მთავრები სწორხაზოვნები არ იყვნენ ისინი ხან რუსეთს ემხრობოდნენ ხანაც იმერეთს, ასე მაგალითად ,,როდესაც 1809 წელს ახალ მთავარმართებელს _ გენერალ ალექსანდრე ტორმასოვს (1809-1811) მიმართეს იმერელმა თავადებმა და ქუთაისიდან რუსული ჯარის გაყვანა მოსთხოვეს, ამ დოკუმენტს მამია

გურიელიც აწერდა ხელს. ხელისმომწერნი ითხოვდნენ იმერეთის სამეფოსთვის ლეჩხუმის დაბრუნებას, ახალი ხელშეკრულების დადებას იმერეთსა და რუსეთს შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ, რუსეთს აღარ დავეხმარებითო“ **(კაკაბაძე, 1956: 377).**

მამია გურიელისა და სოლომონ მეორის დაპირისპირებას ცდილობდა რუსეთის ხელისუფლება რაშიც აქტიურად იყენებდნენ ზურაბ წერეთელს, მაგრამ, ვიდრე გენერალი დიმიტრი ორბელიანი თავის სიძეს _ ვახტანგ ბატონიშვილს იცავდა, ამას ვერ ახერხებდა. რუსეთის ერთგული დიმიტრი ორბელიანი 1809 წლის ივნისში შეეცადა ფოთის უომრად აღებას, ,,ფოთის კომენდანტს _ ბათუმის ბეგს ქუჩუკ შერვაშიძეს ვახტანგ ბატონიშვილი (გურიელი) და მიხეილ (გურიის) ერისთავი გაუგზავნა და ციხის ნებით ჩაბარება მოსთხოვა. ორბელიანს არ ენდენ და რედუტ-კალეში მოსალაპარაკებლად მასთან არ მივიდნენ ქუჩუკ-ბეგი და სოსლან-ბეგ შარვაშიძეები“ **(Акты, 1869: 389).**

,,1809 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ფოთის ციხეს სამეგრელოს მთავრის დახმარებით ალყა შემოარტყა დიმიტრი ორბელიანმა“ **(დადიანი, 1962: 199).**

მამია გურიელი ამ შემთხვევაში ციხის აღებას ეწინააღმდეგებოდა, ის ამჯერად სოლომონ მეორეს უჭერდა მხარს და რუსებს ციხის აღების სიძნელეში არწმუნებდა, ,,რუსეთის სარდლობა კარგად ხედავდა სოლომონის როლს ფოთის აღების მსვლელობაში და იმერეთში მყოფმა პოლკოვნიკმა სიმონოვიჩმა ურჩია ალექსანდრე ტორმასოვს _ შეეკრიბა სამეგრელოსა და გურიის ჯარები, ვითომ ბათუმზე გასალაშქრებლად და იმერეთში შესულიყო, სოლომონი გადაეყენებინათ და გაემეფებინათ სოლომონ I-ის შვილიშვილის - გიორგის ვაჟი ალექსანდრე, რომელიც იმ დროს დედასთან ერთად გურიაში იმყოფებოდა“ **(იქვე: 412).**

,,სოლომონ II_მ, რუსების წინააღმდეგ გამოსვლის სანაცვლოდ, გურიის მთავარს საჯავახოს გადაცემა აღუთქვა, შერიფ-ფაშა კი ქობულეთის

დაბრუნებას შეპირდა, თუ რუსების წინააღმდეგ იბრძოლებდა. დიმიტრი ორბელიანი 1809 წლის 31 აგვისტოს მთავარმართებელს ატყობინებდა, რომ მამია გურიელმა ფოთის საშველად მიმავალ თურქებს საკუთარი ნავსადგური დაუთმო, დამხმარე რაზმი მისცა და გამცილებელი გააყოლა“ **(კაკაბაძე, 1956: 408).**

გურიელის გარეშე ფოთის ციხის აღება შეუძლებელი იყო ეს კარგად იცოდა დიმიტრი ორბელიანმა რომელმაც გურიელთან მოსალაპარაკებლათ საქმეში ჩარია ნიკოლოზ ჯუმათელი და ზურაბ წერეთელი. წერეთელი შემდეგ აღიარებდა რომ მრავალი მოისყიდა რუსეთის მხარეს გადასვლის სანაცვლოდ, ,, წარვაგე ნივთი და ოქრო მრავალი ჩემი“-ო **(იქვე: 419).**

რუსეთის ხელისუფლება გურიელს ჰპირდებოდა მის მხარეს გამოსვლის სანაცვლოდ იმერეთის სამეფოდან გამოყოფას, მართლაც იმპერატორის ხელმოწერილი ტრაქტატიდან გურია ამოიღეს რაც ნიშნავდა გურიის იმერითის სამეფოდან ჩამოშორებას. საბოლოოდ 1810 წლის 19 ივნისს გურიასა და რუსეთს შორის ცალკე გაფორმდა ხელშეკრულება რომელიც შემდეგი პუნქტებისგან შედგებოდა: ,,1. გურიის სამთავრო შედის რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში;

2. გურიაში რჩება მთავრის მემკვიდრეობითი ხელისუფლება. ყოველ მთავარს იმპერატორი ამტკიცებს;

3. სამთავროს ტერიტორიაზე სამოქალაქო საქმეების განსჯა გურიელის კომპეტენციაში რჩება, სისხლის სამართლის საქმეებს კი იმერეთის დროებითი მმართველობა (ე. ი. რუსეთის ხელისუფლება) განიხილავს და წყვეტს;

4. გარეშე მტრისგან დასაცავად გურიის ტერიტორიაზე დგება რუსეთის ჯარის ნაწილი;

5. თუ გურიაში რაიმე მადნის საბადო აღმოჩნდება და დამუშავდება, შემოსავლის ნაწილი მთავარს მიეცემა (დანარჩენი რუსეთისაა);

6. თუ რუსეთი გურიის ტერტორიაზე ახალ ქალაქს ააშენებს, ამ ქალაქის შემოსავლის ნაწილი გურიელს მიეცემა;

7. ზემოთ ჩამოთვლილი პირობების შესრულების სანაცვლოდ გურიელი იმპერატორის მორჩილებას კისრულობს;

8. გურიელი სამთავროში მყოფ რუსის ჯარს შეშით, სანთლითა და ბინით უზრუნველყოფს;

9. მთავარი რუსის ამ ჯარს მოამრაგებს პურით, ღომით, ქერითა და თივით;

10. თუ გურიაში მადანი აღმოჩნდება, მთავარი ამ მადნის დამმუშავებელ რუსებს მიაწვდის მუშა-ხელს, _ რუსთა მიერ დადგენილი ქირით;

11. თუ გურიაში გემსაშენი ტყე მოიძებნება, იგი უფასოდ დაეთმობა რუსეთს, რუსებმა მხოლოდ მისი მოჭრისა და გატანის ქირა უნდა გადაიხადონ;

12. თუ რუსები გურიაში ნავსადგურს ააგებენ, მისი შემოსავლის მეოთხედი მთავარს მიეცემა;

13. მთავარი იმპერატორისგან მიიღებს ღირსების ნიშნებს, ხმალსა და დროშას“ **(Акты, 1869: 438).**

გაფორმებული ხელშეკრულებით, გურიელის მთავრის ხელისუფლება ნომინალური გახდა, მისი უფლებები დაპყრობილი ქვეყნის მდგომარეობამდე დავიდა. მას შემდეგ რაც რუსეთმა იმერეთის სამეფოც გააუქმა გურიის სამთავროს დამოუკიდებლად არსებობაც დროებითი იყო და რუსები ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდნენ სამთავროს გასაუქმებლად **(დუმბაძე, 1954: 27)**.

მამია გურიელი გარდაიცვალა 1826 წელს, მას დარჩა მცირეწლოვანი მემკვიდრე, რუსეთის ხელისუფლებამ არ დააყოვნა გამოეყენებინა ეს მომენტი და სამთავროს გაუქმების სამზადის შეუდგა, მთავრობამ უარი თქვა მცირე წლოვანი მემკვიდრის გამთავრებაზე და ,,დროებითი მმართველობა" შემოიღო რომელიც იყო თავადებისგან შემდგარი საბჭო, მას სათავეში ჩაუყენეს გარდაცვლილი მთავრის ქვრივი სოფიო, რომელიც იყო იმერელი წულუკიძეების იმ შტოს წარმომადგენელი რომელიც ,,რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ მოწყობილ უმთავრეს შეთქმულებებში მონაწილეობდა" **(Акты, 1874: 676)**. ამის გამო რუსეთი მას არ ენდობოდა.

სოფიო გურიელი რათქმაუნდა უკმაყოფილო იყო მომხდარი ცვლილებით ის მმთავარმართებელ ერმალოვს წერდა: ამ ახალმა დაწესებულებამ დაგვიმძიმა ცხოვრებაო.

სოფიო გურიელი ცდილობდა სამთავროს შენარჩუნებას, ამ მიზნის მისაღწევად მან რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლის ომის გამოყენება სცადა, ის შეეცადა ოსმალეთის დახმარებით რუსების ჩამოშორებას თუმცა მისი ეს მცდელობა წარუმატებლად დასრულდა რის გამოც ის იძულებული გახდა 1828 წლის 2 ოქტომბერს ოსმალეთში გადახვეწილიყო თავის მცირეწლოვან შვილთან და ერთგულ პირებთან ერთად. ,,დროებით მმართველობაში" სოფიოს ადგილი რუსმა ოფიცერმა დაიკავა, რის შემდეგაც რუსეთს აღარ გაჭირვებია სამთავროს გაუქმება და 1830 წელს სამთავრო საბოლოოდ გაუქმა.

1840 წლის რეფორმებამდე გურიის სამთავროში ძალაში იყო მმართველობის ადგილობრივი სისტემა, თუმცა რეფორმის შემდეგ ეს ყველაფერი შეიცვალა რაც იყო ერთ ერთი მიზეზი აჯანყების დაწყებისა **(ხომერიკი, 2012: 96).**

3.2. სოციალურ-ეკონომიკური ვითარება

გურიის სამთავროში ბატონყმური წესწყობილება იყო გაბატონებული, გურიის მოსახლეობა ძირითადად ორ სოციალურ ფენად იყოფოდა, თავად აზნაურობა რომელიც მოსახლეობის მცირე რაოდენობას წარმოადგენდა და მოსახლეობის უმრავლესობა რომელსაც ყმა-გლეხები წარმოადგენდა **(დოკუმენტები საქართველოს... 1953: 39).**

გურიის სამთავროში საზოგადოების უმაღლეს საფეხურზე მთავარი იდგა, რომელიც გურიელი იყო, იგი ხელისუფლებას მემკვიდრეობით იღებდა. გურიელი სამთავროში უმაღლესი მოსამართლე და ხელისუფალი იყო, იგი გამგებლობას მოხელეების დახმარებით ახორციელებდა. სამთავროში უმაღლესი თანამდებობები თავადებს ეკავათ, ხოლო წვრილ მოხელეებს აზნაურები შეადგენდნენ, ამის გამო მოხელეები ორ ჯგუფათ იყოფოდა-,, კარის მდეგნი და საქვეყნოდ გამრიგე“ **(ხაჭაპურიძე, 1931: 15).**

პირველი რიგის მოხელეები იყვნენ: სახლთუხუცესი, მსაჯულთუხუცესი, მდივანბეგი, სარდალი და სხვა. მეორე რიგის მოხელეებს ეკუთვნოდნენ: მოურავი, ციხისთავი, ხელოსანი და სხვა. მოხელეობა ამა თუ იმ გვარს სრულ მემკვიდრეობაში რჩებოდა. ისინი ხელფასს პროდუქტებით ღებულობდნენ **(დუმბაძე, 1973: 27).**

ბატონიშვილები ბაძავდნენ სამთავრო სახლის ეტიკეტს რომლის ტიპიური წარმომადგენელი იყო დავით გურიელი, ,,იგი სოფ. ლესაში ცხოვრობდა, მისი სასახლე ძველი ჩვეულების მიხედვით იყო მოწყობილი. სასახლის მოშორებით იდგა დავითის კარის ეკლესია, აქ სწირავდა მისი კარის მღვდელი იოსებ გიგინეიშვილი. ძველებური ოდის გვერდით იდგა სასტუმრო-,,სააზნაურო სახლი“ და სხვა მრავალი შენობა. დავითის სასახლეს სახლთუხუცესი განაგებდა, მისი ხელქვეითნი იყვნენ: მსახურთუხუცესი, ფარეშთუხუცესი, მესტუმრე, მწდე, მეჯინიბე, ბაზიერი,

კურძუალები, ქეშიკები, მოახლეები, გამდელები, სხვადასხვა მოსამსახურენი და ერთიც სასახლის დალაქი“ **(მეუნარგია, 1942: 71).**

,,დარბაზის ერს შეადგენდნენ თავადები: გუგუნავები და თავდგირიძეები, დავითის კარისკაცები და აზნაურები: ჭყონიები, გიგინეიშვილები, თავათქილაძეები, კომახიძეები და მათი შინა ყმები“ **(იქვე: 72).**

გურიაში კიდევ ერთ ძლიერ ,,საერისთავოს“ წარმოადგენდა თავად ერისთავის მამული, რომელშიც შედიოდა: ,, ერკეთი და მისი შემავალი მთლად ოქროს ქედიანად, სრულიად საჯავახო, უდაბნოს მონასტერი, საგვარეულო სასაფლაოს წარმოადგენდა ერკეთის ეკლესია“ **(სიხარულიძე, 1956: 36).**

სხვა თავადებიც საკმაოდ დიდ ტერიტორიებს ფლობდნენ, მაგალითად: ,,ჩოხატაურის მთასა და ფიჩორს შორის მდებარე ტერიტორია სამაჭუტაძეო მამულს წარმოადგენდა, ლელის წყალსა და ჩოლოქს სახარის გარდა გრიგოლეთიანად ადგილი, ტყე და წყალი თავად ნაკაშიძეების იყო, აკეთი და სუფსის ჭალა თავდგირიძეებს ეჭირათ, ვან-ზომლეთი კი შალიკაშვილებს. ნაგომარი ძიმითი და სუფსის ჭალის ნაწილი გუგუნავებს ეკუთვნოდათ“ **(სახოკია, 1950: 67).**

გურიაში სოციალური კიბის შემდეგ საფეხურზე აზნაურები იდგნენ, რომლებიც რამდენიმე კატეგორიად იყოფოდა: ,,სამთავრო (სამთავროს გაუქმების შემდეგ სახაზინო), საეკლესიო და სათავადო, ყოფილან ასევე აზნაურის აზნაურებიც“ **(დუმბაძე, 1954: 37-38).**

ვალდებულების მიხედვით პატრონისადმი აზნაურებს შორისაც იყო სხვაობა, ზოგს მხოლოდ პირადი სამსახური ევალებოდა ზოგსაც თავადისთვის შემოსავლის ნაწილი უნდა მიეტანა, იყვნენ ,,გარადუხდელნიც“.

,,გურიაში მრავლად იყვნენ როგორც მცირე ყმა-მამულიანი, ისე უმიწო და უყმო აზნაურები. ოზურგეთისა და შემოქმედის მოურავის ლაზარე ნაკაშიძის 1829 წლის მოხსენებაში დასახელებულ აზნაურთაგან, მაგ.: აზნაურ ოთარ გოგიტიძეს სამი ყმა ყავდა, ამდენივე - გიორგი გოგიტიძეს, მამუკა კალანდარიშვილს - ორი, ასევე გოგია კვაშალს, ბეჟან მამინაიშვილს, გიორგი მდივანს და სხვას - თითო თითო, ხოლო იოანე კალანდარიშვილს, მაქსიმე კვაშალს და სვიმონ გოგიტიძეს სულაც არ ყავდა ყმები“ **(სიხარულიძე, 1956: 38).**

ასევე გურიის გაბატონებულ კლასს მიეკუთვნებოდნენ აზნაურული სამღვდელოება რომლებიც საკმაოდ დიდ მამულებს ფლობდნენ.

გურიაში XIX საუკუნის დასაწყისში იყო: 3 არქიმანდრიტი, 1 იღუმენი, 1 დეკანოზი, 23 ბერ-მონაზონი, 133 მღვდელი, 87 დიაკონი, 2 მთავარდიაკონი, 2 მორჩილი და 77 ეკლესია.

მიუხედავათ იმისა რომ ჯერ 1807 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ხოლო შემდეგ 1838 წელს დასავლეთ საქართველოში სასულიერო წოდება ბატონყმური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლდა გურიაში ამ ღონისძიებამ დაიგვიანა. 1839 წელის 27 ოქტომბერს საქართველოს ეგზარხოსი ევგენი მთავარმმართველს აუწყებდა: გურიის სამღვდელოების განთავისუფლების შესახებ თუმცა თქვენის მხრით უკვე გაცემულია განკარგულება, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის სისრულეში მოყვანილიო **(ჯავახიშვილი, 1930: 102).**

გურიის საზოგადოების შემდეგ საფეხურზე იდგა ყმა-გლეხები, ისინი ერთიან სოციალურ ფენას არ წარმოადგენდნენ, ყმა-გლეხები რამდენიმე კატეგორიად იყოფოდნენ: სათავადო, სამთავრო, სააზნაურო, იყვნენ ასევე გლეხთა გლეხებიც.

მემკვიდრეობით გადადიოდა ყმობა. საბუთების მიხედვით ირკვევა რომ გურიაში მრავალი სახის ყმები იყვნენ, მაგალითად: ,,შეწირული“ და ,,ნაწყალობები“, ,,ნასყიდი“ და ,,სურვილითა“-(ნებიერი) და სხვ. **(დოკუმენტები საქართველოს... 1953: 39).**

ყმებს შორის ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ ე.წ. ,,სურვილითა“ ყმები ხოლო ყველაზე ცუდ მდგომარეობაში ,,ნასყიდი“ ყმები. ასეთივე მდგომარეობაში იყვნენ ,, ტყვეობიდან გამოსყიდული“, ,,დაწინდული“, ,,მზითეული“ და სხვა გლეხები **(ფირცხალაიშვილი, 1942: 34).**

სამთავრო ყმების მდგომარეობა შედარებით უკეთესი იყო გლეხთა შორის. მ. გურიელის 1814 წელს შემოქმედის მონასტრისადმი შეწირულობის წიგნიდან ჩანს, რომ უჩხუბს მოსახლე ბახუტა ოთხმეზურს მართებდა გადასახადი: ორი ქილა ღომი, ოთხი საწყავი ღვინო, ხუთი ყურუშის საკლავი, ერთი ქათამი, ერთი დოლარიკის სანთელი, მახარბელა ლომინაძეს და მის ძმისწულს - 6 ქილა ღომი, ოთხ-ოთხი საწყავი ღვინო, ხუთი ყურუშის საკლავი, ერთი ქათამი, ერთი დოლარიკის სანთელი და სამსახური. მაკვანეთის მცხოვრებ გიორგი ქათამაძეს მართებდა: ხუთი ქილა ღომი, ოთხი საწყავი ღვინო, საკლავის ფასი, ექვსი ქათამი და სხვა სამსახური ტვირთით.

ბეგარა - გამოსაღებებით საერთოდ სათავადაზნაურო ყმების გადასახადებს არ ჩამოუვარდებოდა საეკლესიო ყმების გადასახადებიც, თუმცა მათი მდგომარეობა შედარებით უკეთესი იყო **(ხომერიკი, 2012: 99).**

თავად-აზნაურის ყმის მდგომარეობა ყმები ყველაზე ცუდ მდგომარეობაში იყვნენ რადგანაც მათ სამთავროს გადასახადიც ედოთ.

ყმა-გლეხები საბატონო ვალდებულების მიხედვით ოთხ კატეგორიად იყოფოდა: მებეგრეებად, აზატებად, მსახურებად და მოჯალაბეებად.

,,გათავისუფლებულ“ გლეხთა ფენას წარმოადგენდა აზატები, მათ მებატონე ,,ათავისუფლებდა“ გადასახადისა და ზოგიერთი მოვალეობისაგან. აზატობის მიღება ,,განსაკუთრებული სამსახურის“ ან ,,თავდახსნის“ საშუალებით შეიძლებოდა. მიუხედავად ამისა ,,აზატს“ ბატონის მსახურება მაინც ვალად ედო.

მსახურები აზატების შემდეგ იდგნენ, ისინი ერთგვარ გარდამავალ ფენას წარმოადგენდნენ. ,,ისინი მიწათმოქმედებასაც ეწეოდნენ, მაგრამ მათი წოდებრივი ფუნქციები (ლაშქრობა, სამსახური) აზნაურული იყო. ბატონყმობის პერიოდში მსახურები ეკონომიურ და სოციალურ დაქვეითებას განიცდიდნენ, ხშირი ლაშქრობა და სამსახური, ,,პატრონის გამასპინძლება“ ,,როგორც თავი ესახელებოდეს“, ერთობ მძიმე ტვირთად აწვა მწარმოებელთა ამ ფენას, რაც უწყალოდ ანადგურებდა მას და გლეხობისაკენ მიერეკებოდა“ **(ბერძენიშვილი,1938: 286).**

ყველაზე მრავალრიცხოვან ფენას გლეხებს შორის შეადგენდნენ მებეგრეები, ისინი სხვადასხვანაირად იყვნენ დაბეგრილნი, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობაც განსაზღვრავდა მებეგრის ვალდებულებას.

სხვადასხვა სამოურავოში მებეგრეთა ვალდებულებები განსხვავებული იყო, მაგ.: ჩოჩხათის, აკეთის და ნაგომრის გლეხები უფრო მეტად იყვნენ დაბეგრილები ვიდრე ჩიბათი, ჯურუყვეთის გლეხები.

ყველაზე დაბალ საფეხურზე გლეხთა შორის მოჯალაბე იდგა, ის მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებას, მას არ გააჩნდა საკუთარი მეურნეობა და ის ბატონის კარზე ცხოვრობდა **(კაკაბაძე, 1928: 157).**.

გლეხთა მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა იმ პერიოდში საქართველოში და მათ შორის გურიაში გავრცელებული სენი ტყვეთა სყიდვა, ,,არც ერთ ომს, არც ერთ დამპყრობელს - ხმლით იმდენი ზიანი არ

მიუყენებია საქართველოსთვის, რამდენიც ტყვეთა ტაცებამ მიაყენა მას“ **(ბერძენიშვილი..., 1950: 382).**

გურიაში ტყვეთა სყიდვას ხელს უწყობდა ოსმალეთი, „... დიდად ეკირთებოდენ თათარნი გურიასა და აწუხებდნენ მოხდომითა, კაცის კვლითა და წარტყვანიტა ტყვეთათა, კნინღა და ყოველი გურია აღიხოცა, რომელიმე თათართა მიყავდა და რომელნიმე განიბნინენ იმერეთად და ოდიშად. თუმცა გურულნი მამაცად და მხნედ ბრძოდნენ, მრავალსა ხოცდნენ და შეიპყრობდნენ და ამარცხებდნენ, გარნა სიმრავლისა გამო თათართა ვერ ეკმავენ გურულნი“ **(დადიანი, 1962: 21)**

ტყვეთა სყიდვის შეჩერებას ცდილობდა რუსეთის იმპერია მათ ამ მიზნით მოაწყვეს ე.წ. „საკორდონო ხაზი“ რომლითაც გარკვეულად შეეზღუდათ მოქმედება ტყვეთა სყიდვის მოსურნეთ, ამ ღონისძიებამ გარკვეული დადებითი განწყობა გამოიწვია ადგილობრივებში.

უნდა აღინიშნოს რომ ხშირ შემთხვევაში რუსთა გადაწყვეტილებები დადებითად არ მოქმედებდა ადგილობრივ მცხოვრებლებზე და პირიქით უარყოფით განწყობას იწვევდა რუსების მიმართ. მაგალითად რუსებმა შეერთების შემდეგ დატოვეს ადგილობრივი გადასახადები და თავის მხრივ ახალი გადასახადები დაუმატეს **(მალეშკო, 1848: 89-90).**

პოლკოვნიკი ვროჩენკო რომელიც 1837 წელს გურიაში იყო მივლინებული „დროებითი მმართველობის“ თავჯდომარეებს ასე ახასიათებდა: „მმართველები მხოლოდ საკუთარი სარგებლობისთვის იღწვოდნენ და არა ოლქის და მართლმსაჯულების მოწესრიგებისათვის, ყველა მათგან გამოირჩევა მიმდინარე წელს შეცვლილი მაიორი ორლოვი, მის დროს კანონების ხსენებაც კი არ იყო. ყველაფერი კეთდებოდა ძალადობითა და ძლიერის უფლებით“ **(სიხარულიძე, 1956: 47).**

რუსთა მიერ გატარებული ეს ღონისძიებები კი კიდევ უფრო ზრდიდა მოსახლეობის უკმაყოფილებას და უბიძგებდა აჯანყებისკენ.

XIX საუკუნის გურიის მეურნეიობის მთავარ დარგს მიწათმოქმედება წარმოადგენდა, გლეხები ამუშავებდნენ მიწებს და იხდიდნენ გადასახადებს. გურიის მთავარ სასოფლო სამეურნეო კულტურას წარმოდგენდა ღომი და სიმინდი. სიმინდი გურიაში XVII საუკუნის დამდეგს გავრცელდა მანამდე კი ღომი იყო მთავარი კულტურა, მაგრამ სიმინდი უფრო მარტივი მოსაყვანი და უფრო მომგებიანი იყო გარდა ამისა მასთან ერთად შეიძლებოდა ლობიოს, ცერცვის, გოგრის და სხვა კულტურების მოყვანა ამის გამო ის გურიაში სწრაფად გავრცელდა. ღომს გურიაში მაღლობ ადგილებში თესდნენ, ღომის რამდენიმე ჯიში იყო გავრცელებული: ,,ბარამულა", ,,თეთრა", ,,ძირდაბალი", შვიდკვირა და სხვ. **(ჯავახიშვილი, 1930: 119).**

XIX საუკუნეში გურიიდან სიმინდი და ღომი უცხოეთშიც გაჰქონდათ, თუმცა შემდეგ ღომის ნათესების შემცირების გამო საექსპორტოდ მხოლოდ სიმინდი დარჩა.

გურიაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა მევენახეობას, იმ დროისათვის გურიაში გავრცელებული იყო უფრო მაღლარი ვენახები, არსებობდა ყურძნის მრავალი ჯიში: ,,ძელსავი, მტევანდიდი, ჭუმუტა, ხარისთვალა, ბადაგი, ჩხავერი, ჯანი, სხილათუბანი და სხვ." **(ჯავახიშვილი, 1934: 455-462).**

გურიის მთის სოფლებში გავრცელებული იყო მეფუტკრეობა, მაგალითად: სურები, გომი, ერკეთი და სხვა, ეს სოფლები განთქმული იყვნენ ,,სანთლის არაყიტა" და ,, თაფლის სანთლით".

გურიაში ასევე გავრცელებული იყო ხელოსნობა და შინამრეწველობა. მართალია აქ მოქსოვილი დარაია არ იყო მაღალი ხარისხის, მაგრამ

სამაგიეროტ გურული ,,ტილო“ იყო განთქმული და ის ,,სახვანთქრო“ ხარკშიც შედიოდა.

მოცემული ხანის გურიაში ქალაქი არ არსებობდა, გურიის ცენტრს ოზურგეთი წარმოადგენდა რომელიც უფრო სოფელს მიაგავდა, ის ასევე იყო სავაჭრო პუნქტიც **(კაკაბაძე, 1928: 157).**

გარდა ოზურგეთისა ვაჭრობა მიმდინარეობდა სხვა პუნქტეშიც, ზოგან კვირეული ზოგან წლიური, ერთ ერთ ასეთ პუნქტს წარმოადგენდა დაბა დვაბზუ სადაც ყოველკვირეული ბაზარი იყო, ყოველწლიური ბაზრობები იმართებოდა დაბა ნაგომარსა და ლანჩხუთში.

გურიაში ჯერ კიდევ უმთავრესად ოსმალური მონეტები ფარა, რუბი ყურუში და სხვა იყო გავრცელებული რუსული ფული კი იშვიათობა იყო, ასევე ხშრი იყო შემთხვევა პროდუქტის პროდუქტზე გაცვლის.

ადგილობრივ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებდა გურიის შიდა მრეწველობა და პირველად მოტხოვნილების ზოგიერთი პროდუქტი უცხოეთიდან სემოქონდათ, ძირითადად ოსმალეთიდან **(ცაგარელი, 1891: 15).**

ასეთი იყო XIX საუკუნის გურიის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, რამაც მეტ წილად შეუწყო ხელი 1841 წლის აჯანყებას **(ბენდიანიშვილი..., 2008: 159)** .

თავი IV. აჯანყების მსვლელობა

4.1. აჯაყების წინაპირობები

გურიის 1841 წლის აჯანყების მიზეზები ერთბაშად არ წარმოშობილა, იგი დიდი ხნის განმავლობაში მწიფდებოდა. 1804 და 1810 წლის აქტებით გურიის სამთავროს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ, მართალია გურიის მმართველებად გურიის მთავარი და მისი მემკვიდრეები ცხადებოდნენ მაგრამ ფაქტობრივად გურია იმერეთის დროებით მმართველობას დაუქვემდებარეს. რუსეთი ამზადებდა ნიადაგს სამთავროს გაუქმებისთვის მაგრამ ამას ჯერ ხელი იმერეთის სამეფოს გაუქმებისთვის ბრძოლის გაჭიანურებამ შეუშალა შემდეგ კი რუსეთ ოსმალეთის 1806-1812 წლების ომმა, რომელშიც რუსეთი იძულებული გახდა ომის დროს დაკავებული ტერიტორიები ისევ ოსმალეთისტვის დაებრუნებინა, მიუხედავად ამისა გურიის სამთავროს გაუქმებაზე ხელი არ აუღია. რუსეთის ამ განძრახვის და კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ პირველი გამოსვლა- აჯანყება მოხდა 1819-1820 წლებში, რომლის დამარცხება რუსეთმა სერიოზული სამხედრო ძალის გამოყენების შემდეგ შეძლო. ამ აჯანყების დამარცხების შსემდეგ მისი ბევრი მონაწილე ოსმალეთში გადაიხვეწა და რუსეთმაც განაგრძო მის მიერ დაწყებული პოლიტიკა **(ბერძენიშვილი, 1955: 69)** .

გურიის უკანასკნელი მთავრის, მამია გურიელის, გარდაცველების შემდეგ გურიას დროებით, გურიის სამართველო საბჭო განაგებდა რომელსაც გურიელის ქვრივი სოფიო თავმჯდომარეობდა, სოფიო კარგად ხედავდა რუსეთის მიზანს სამთავროს გაუქმების შესახებ და ამის წინააღმდეგ ყველაფერს აკეთებდა მან რუსეთის ჩამოსაშორებლად რუსეთ ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის გამოყენებაც ცადა თუმცა ამ ომში რუსეთმა გაიმარჯვა და სოფიო ტავის ერთგულ ხალხთან ერთად

ოსმალეთში გადვიდა, რითაც რუსეთმა ისარგებლა და სამთავრო გააუქმა **(ბენდიანიშვილი..., 2008: 209)** . .

იმპერიის მიერ გურიის საშინაო საქმეებში ჩარევა, 1819-1820 წლების აჯანყების ჩახშობა, სამთავროს გაუქმებისთვის ბრძოლა, მტკივნეული საკითხი იყო გურიის საზოგადოების ყველა ფენისათვის, სამთავრო სახლის, თავად-აზნაურებისა თუ გლეხებისათვის. ,,რუსული მმართველობის შემოღება, ქართული სამართლის რუსული კანონებით შეცვლა, ქართული ტრადიციებისა და ადათ წესების აბუჩად აგდება, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეების თვითნებობა და ძალმომრეობა, სულ უფრო მზარდი კორუფცია, ანტირუსული ძალების დაუსრულებელი დევნა და შევიწროება, ძველი გადასახადის აკრეფის წესის შეცვლა და ახალი გადასახადების დაწესება გახდა გურიის 1841 წლის აჯანყების უმთავრესი მიზეზები“ **(გურული, 2017: 503-505).**

გურიის მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია 1840 წლის სამოქალაქო მმართველობის რეფორმამ, რომელიც ითვალისწინებდა ახალი მმართველობის სისტემის შემოღებას და საგადასახადო რეფორმას. ახალი სამოქალაქო რეფორმისთვის მზადება ჯერ კიდევ პასკევიჩის დროს დაიწყო და მრავალი პროექტი შედგა თუმცა არც ერთი არ განხორციელებულა. რუსეთის მთავრობა ისეთი მმართველობს სემოღებას ფიქრობდა რომელიც მისი პოლიტიკის განაღდებას უზრუნველყოფდა **(ბერძენიშვილი, 1955: 69)** .

1837 წელს შეიქმნა კომისია სენატორ განის ხელმძღვანელობით, რომელსაც ადგილზე უნდა შეესწავლა სიტვაცია და ამის მიხედვით გაეკეთებინათ მმართველობის ახალი პროექტი, თუმცა კომისიამ თბილისში ჩამოსვლის შემდეგ საჭიროდ არ ჩათვალა საკითხის შესწავლა და მაშინვე დაიწყო რეფორმის პროექტის შედგენა რუსული სისტემის ტრაფარეტის მიხედვით. 1840 წლის 10 აპრილს განის პროექტი დამკიცდა, რომლის მიხედვითაც ,,მთელი ამიერკავკასია კასპიის ოლქად დასაქართველო

იმერეთის გუბერნიად გაიყო, ამ უკანასკნელში 11 მაზრა შედიოდა, მათ შორის იყო ოზურგეთის მაზრა“ **(სიხარულიძე, 1956: 52).**

ოზურგეთის სამაზრო მმართველობას შეადგენდნენ: მაზრის უფროსი და მისი თანაშემწე, უბნის მსაჯულები, პოლიცია, სამაზრო სასამართლო, მაზრის ხაზინა და მაზრის პროკურორი, გურიის მაზრის უმაღლესი ხელისუფალი იყო მაზრის უფროსი. ,,ოზურგეთის მაზრის მართველობაში თავიდანვე დამკვიდრდა ყველა მანკიერება, რაც რუსულ ადმინისტრაციულ სისტემას გააჩნდა, პირველ რიგში-ბიუროკრატია. განუსაზღვრელი დროით ჭიანურდებოდა საქმეების განხილვა, 1841 წლის 1 იანვრიდან სექტემბრის დამლევამდე ოზურგეთის მაზრის მართველობას 4000 საქმე განუხილავს, ამ პერიოდში მმართველობაში 12800 თხოვნა, საჩივარი და სხვა ხასიათის დოკუმენტი შემოსულა, ხოლო მმართველობიდან 13000 დოკუმენტი გასულა. გურიის მაზრის მმართველობის შენახვა ძალზე ძვირი ჯდებოდა, 1840 წლამდე არსებული გურული თავადების საბჭოს (დროებითი მმართველობის) თავმჯდომარეს წელიწადში სარგოს სახით 600 მანეთი ეძლეოდა, ხოლო 1840 წლის 10 აპრილის კანონით დამტკიცებული შტატით გურიის მაზრის მმართველობის შენახვა 13135 მანეთი ჯდებოდა“ **(გურული, 2017: 503-505).**

ახალი რეფორმის შემდეგ გურიის მოსახლეობის მდგომარეობის გაუარესებას განსაკუთრებით იწვევდა რეფორმის ფინანსური მხარე. რაც გულისხმომს საგადასახადო სისტემის ცვლილებას, ,,1841 წლამდე გურიაში ორი სახის გადასახადი იყო: 1. სასურსათო ბეგარა (გადახდა ნატურით, სურსათით), რომელიც შეწერილი იყო კომლზე; 2. საერობო შრომითი ბეგარა (გზების გაყვანა და შეკეთება, არხების გაყვანა და გაწმენდა, ხე-ტყის დამზადება, სხვადასხვა სახის მომსახურების აღმოჩენა რუსეთის ჯარისათვის, სახალხო ლაშქარში (მილიციაში) სამსახური და სხვა), 1841 წლიდან გურიაში პირველად შემოიღეს სულადობრივი გადასახადი და ყველა ნატურალური და საერობო ბეგარა გაერთიანდა ერთ ფულად

გადასახადში. სახელმწიფო გლეხებს თითო სულზე უნდა გადაეხადათ 1 მანეთი, ხოლო საბატონო და საეკლესიო გლეხებს-50 კაპიკი ვერცხლით. გარდა ამისა, საერობო შრომითი ბეგარის ნაცვლად სახაზინო გლეხებს ყოველ კომლზე უნდა გადაეხადათ 35 კაპიკი, ხოლო საბატონო და საეკლესიო გლეხებს-9 კაპიკი“ **(იქვე).**

ახალმა საგადასახადო რეფორმამ უკმაყოფილება გამოიწვია საზოგადოების ყველა ფენაში, საზოგადოება ამ გადასახადების გაუქმებას თხოვდა სამაზრო მმართველობას, თუმცა გლეხობის, თავადების და აზნაურების უკმაყოფილებას მაზრის მმართველობა არად აგდებდა, ამას ისიც ემატებოდა რომ მართველობა ითხოვდა გადასახადების რუსული ფულით გადახდას რაც გურიშინაკლებად იყო გავრცელებული რადგან ჯერ კიდევ მიმოქცევაში ოსმალური ფული იყო, გლეხები ითხოვდნენ გადასახადების ამ ფულით გადახდას თუმცა მათ მოთხოვნას არად აგდებდნენ და ურჩ გლეხებს აპატიმრებდნენ, ამ ყველაფერს დაემატა ისიც რომ გურიაში გავრცელდა ხმები რომლის მიხედვითაც ახალ მართველობას მოყვებოდა რუსულ ჯარში რეკრუტის წესით (25 წლიანი სამხედრო სამსახური) გაწვევა, მოსახლეობაში კი რუსულ ჯარში გაწვევა უბედურებასთან ასოცირდებოდა. ყოველივე ეს კი ნიადაგს ამზადებდა ადგილობრივ მოსახლეობაში აჯანყების დასაწყებად, რომელშიც მონაწილობას საზოგადოების ყველა ფენა მიიღებდა.

,,1841 წლის გურიის აჯანყებაში ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ თავადები, აზნაურები და გლეხები. აჯანყება მთელ გურიას მოედო. მიუხედავად ამისა, მის ხელმძღვანელებს კარგად ესმოდათ, რომ მარტო გურულებს რუსეთის ჯარის დამარცხება გაუჭირდებოდათ. ამიტომ იყო, რომ აჯანყებულები წერილებს აგზავნიდნენ ქვემო იმერეთისა და სამეგრელოს მოსაზღვრე სოფლებში და მოსახლეობას აჯანყებისკენ მოუწოდებდნენ“ **(იქვე: 505).**

4.2. აჯანყების დაწყება

1841 წლის აჯანყება გურიაში სტიქიურად დაიწყო, თავდაპირველად აჯნყებულ სოფლებს არ ქონია რაიმე კავშირი ერთმანეთთან, რის გამოც პირველ ეტაპზე აჯანყებას არც საერთო მეთაურობა ყავდა, თითოეულ სოფელში აჯანყებულებს უნარიანი და გულადი თანასოფლელები მეთაურობდნენ. მაგალითად: ,,აკეთის თემში აჯანყების წამოწყები და მთავარი ხელმძღვანელები გოგია, ენუქა და ათანასე ვადაჭკორიები იყვნენ. მათ შეადგინეს რაზმი ,,ფირალის" სახელწოდებით. ლეხოურის თემში აჯანყებულთ წინამძღოლობდნენ გლეხები ოთარ და ნიკოლოზ თოიძეები, გოგიჩა გორდელაძე და სხვა. ასკანის სამოურაოში-მამუკა ანტაძე და მუხარბეგ დოლიძე, შემოქმედში-გოგია და როსტომ მამინაიშვილები. ჯვარცმაში-ხურო იორდანე პაიჭაძე. ხალხური გადმოცემით გუბაზეულის ხეობა ბურარა მამალაძის ხელმძღვანელობით გამოსულა ბრძოლასი" **(სიხარულიძე, 1956: 55-56).**

აზნაურთა შორის აჯანყებაში აქტიურად მონაწილეობდნენ: სიმონ გოგოლიშვილი, აბესა ბოლქვაძე, ათარმიზა თოიძე, ქაიხოსრო გუგუნავა, ლევან გოჯასპირ და სიმონ ჭყონიები, ალექსანდრე ნაკაიძე, სიმონ, ალექსანდრე და გოგია ქარცივაძეები და სხვ.

აჯანყების მთავარი წინამძღოლი, ანუ ,,თავი და ბაილახტარი" იყო თავადი ამბაკო შალიკაშვილი, რომელიც იმ დროს რუსეთის არმიის პრაპოშჩიკი იყო **(ბენდიანიშვილი, 1980: 89) .**

გურიის 1841 წლის აჯანყება მაისში დაიწყო, რის საბაბიც გახდა, ახალი რეფორმის შედეგად დაწესებული გადასახადების აკრეფა. აკეთის უბნის მსაჯული თავადი ბარათაშვილი გადასახადების აკრეფას შეუდგა. მან სოფელ ლანჩხუთში 22 მაისს (ახ.სტ. 4 ივნისს) გადასახადების ამკრეფნი გაგზავნა, საერებო მოხელეები გადასახადების რუსული ფულით გადახდას თხოულობდნენ, მოსახლეობას კი რუსული ფული არ გააჩნდათ რის გამოც

ნაწილმა ოსმალური ფულიტ გადახდა დაიწყო თუმცა ხაზინა ამ ფულს არ იღებდა, ამის სანაცვლოთ გადასახადების ამკრეფნი ძალადობდნენ, რამაც მოსალეობაში უკმაყოფილება გამოიწვია და გადასახადის ამკრეფნი სოფლიდან გამოაგდეს **(ბენდიანიშვილი, 1999: 89).**

ბარათაშვილმა გლეხების ეს წინააღმდეგობა არად ჩააგდო და გადასახადების აკრეფა სხვა სოფლებში თავად განაგრძო, 24 მაის მან აკეთის თემის მცხოვრებლებს საერობო გადასახადის შეტანა მოსთხოვა, გლეხებმა დრო ითხოვეს გადასახადის მოსამზადებლად, მაგრამ ბარათაშვილმა ყურადღება არ მიაქცია მათ ამ თხოვნას, რის შემდეგაც მოსახლეობის ნაწილმა ნივთები მისცა ფულის სანაცვლდ, იმ ოჯახებში კი სადაც მცხოვრებლები სახლში არ იყვნენ, მოხელეებმა თვითნებურად შეიჭრენ და საოჯახო ნივთები და ინვენტარი გამოიტანეს.

ჭანჭათელი: გოგია, ენუქა და ათანასე ვადაჭკორიები, დათა მეგრელიძე და მარტინ ლანჩაბაძე თავს დაესხნენ გადასახადების ამკრეფ გოგოსი დოროძეს, კეტებით სეცემეს და 11 ვერცხლი წაართვეს.

ბარათაშვილმა დამნაშავეთა შეპყრობა აკეთის ნაცვალს აზნაურ როსტომ ჯაყელს უბრძანა. ჯაყელი ჭანჭათისაკენ გაემართა ბრძანების შესასრულებლად, მაგრამ ვერაფერი გააწყოო გლეხებთან და გადმოცემის მიხედვით, იგი თავად შეიპყრეს, ცალი წვერი გაპარსეს და სოფლიდან გააძევეს. ამის შემდეგ მსაჯულმა ბარათაშვილმა შეკრიბა ხალხი და ჭანჭათლების დასასჯელად გაემართა. შევიდა თუ არა ბარათაშვილის რაზმი ჭანჭათში, ამ გამოსვლის მოთაავეები ტყეში გაიხიზნენ **(ბენდიანიშვილი, 1999: 89)** .

დამსჯელმა რაზმმა სოფლიდან წამოიღო სამი ქვაბი და ორი ძროხა, მაგრამ შეიარაღებული გლეხები დაედევნენ მოძალადეებს, ბარათაშვილის სახლ-კარი დალეწეს, ამ შეტაკების დროს დაიჭრა გლეხი გაბრიელა ჩხაიძე

და აზნაური ალექსანდრე ჯაყელი. გლეხებმა გაიტაცეს თავიანთი ნივთები, ძროხები და შინ დაბრუნდნენ.

ჭანჭათელმა ვადაჭკორიებმა შემოიკრიბეს ლანჩხუთელი და აკეთელი გლეხები, ჩამოაყალიბეს რაზმი რომელშიც 300-მდე კაცი ირიცხებოდა.

1841 წლის 23 მაისს ვადაჭკორიების რაზმი, ხმლებითა და თოფებით შეიარაღებულები, ბარათაშვილის სახლს მიადგნენ და მასთან შეხვედრა მოითხოვეს. გლეხები ბარათაშვილს სთხოვდნენ რომ მაზრის უფროსისთვის გადაეცა მათი მოთხოვნები:

ა) გლეხები თანახმანი იყვნენ ძველი გადასახადების გადახდაზე, ახალი საერობო გადასახადის გაუქმებას კი ითხოვდნენ რადგან სიღარიბის გამო ვერ გადაიხდიდნენ; ბ) დანაშაული უნდა ეპატიებინათ მათვის ვინც გადასახადის აკრეფას წინააღმდეგობა გაუწია რადგან ამაში მთელი გურიის გლეხობა მონაწილეობდა; გ) აკეთის ნაცვლის გადაყენება.

აკეთში შექმნილი მდგომარეობა აცნობეს მაზრის უფროსს იაცენკოს, იაცენკომ მოითხოვა, რომ გლეხები მასთან გამოცხადებულიყვნენ, მაგრამ გლეხებმა ამაზე უარი განაცხადეს.

1841 წლის 24 მაისს მაზრის უფროსი იაცენკო, ჯარისკაცთა ასეულით, აკეთში შევიდა უწესრიგობის აღმოსაფხვრელათ. მან ბრძანა რომ მოსახლეობას ყველა გადასახადი გადაეხადა, მოსახლება მას სთხოვდა რომ ნება მიეცა საერობო გადასახადი ნატურით გადაეხადათ რადგანაც მათ ფული არ ქონდათ, ამაზე იაცენკომ უარი განაცხადა.

სოფლებში ჯარით შესვლამ მოსახლეობაზე გავლენა მოახდინა და ისინი იძულებულნი გახდნენ დაშლილიყვნენ და ახალ გადასახადებს შეგუებოდნენ. ტყეში გაიხიზნა 7-8 კაცი რომლებიც აქტიური მოთავეები იყვნენ ამ გამოსვლების. სწორედ ამ ტყეში გახიზნულების წაქეზებით 30 მაისს სოფელ ვანში უკმაყოფილებამ იჩინა თავი, გლეხემბა უარი

განაცხადეს საერობო გადასახადზე. მაზრის უფროსი, იაცენკო, ახლა ვანში გადავიდა და მათი ,,დამშვიდებაც“ შეძლო.

მაზრის უფროსმა ტყეში გახიზნულები ვერ დაიჭირა, ამის მიზეზად მან ,,აღდგენილი მშვიდობის და წესრიგის არ დარღვევა“ მოიმიზეზა. იაცენკოს დაგეგმილი ქონდა სხვა სოფლების შემოვლაც მაგრამ რაზმის სიმცირის გამო შეშინდა და 31 მაისს ოზურგეთში დაბრუნდა. აკეთში მომხდარი ,,გაუგებრობა“ კი აღმოფხვრილად მიიჩნია.

,,იაცენკომ ვერც კი მოასწრო ვანიდან გასვლა, რომ აკეთის უბნის მცხოვრებლებმა აიხადეს ნიღაბი და 200 კაცის რაოდენობით შეკრებილმა ბრბომ უარი განაცხადა საერობო გადასახადის შეტანაზე'' **(ჩუდინოვი, 1841: 223).** გლეხებმა სოფელ სოფელ სიარული დაიწყეს და მოწოდება, რომ არ გადაეხადათ საერობო გადასახადი, მათ ამ მსვლელობის დროს მრავალი გლეხი შეუერთდათ. 1841 წლის 1 ივნისს გლეხები მდინარე სუფსაზე ე.წ. ,,თათრის სანაოსნოსთან“ გადავიდნენ და ოზურგეთისკენ დაიძრნენ. გელხები მოითხოვდენ მაზრის უფროსთან შეხვედრას, რომელსაც უნდა ეშუამდგომლა მთავრობასთან საერობო გადასახადის გაუქმებაზე უსახსრობის გამო.

აჯანყებულებს მეთაურობდა ჭანჭათელი ვადაჭკორიების სამეული, ისინი ნაგომრიდან გავიდნენ მაგრამ მათ ოზურგეთში წასვლის გადაწყვეტილენბა შეცვალეს და შემოქმედში შევიდნენ, საიდანაც იაცენკოს შეხვედრა მოსთხოვეს, თუმცა იაცენკომ გლეხებთან შეხვედრა არ იკადრა და მათთან სხვა მოხელეები გაგზავნა. იაცენკოს ამ გადაწყვეტილებამ გლეხების უკმაყოფილება კიდევ უფრფო გაზარდა. გლეხები უკვე აქტიურად მოუწოდებდნენ მოსახლეობას აჯანყებისკენ და მათ საერთო საქმის ერთგულებაზე აფიცებდნენ.

შემოქმედში აჯანყებულებმა სამოქმედო გეგმა შეიმუშავეს, მართალია მათი გეგმის ტექსტი უცნობია, მაგრამ არსებული მასალებით შეიძლება

დავასკვნათ რომ გლეხების გეგმა შემდეგი იყო: აჯანყებულებს უნდა შემოევლოთ გურიის ყველა სოფელი, ლაშქარი შეეკრიბათ და ოსმალეთის საზღავრთან დაბანაკებულიყვნენ. რომლის შემდეგაც მაზრის უფროს საკუთარ მოთხოვნებს წარუდგენდნენ, თუ მაზრის უფროსი მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებდა დაიწყებოდა ოზურგეთზე შეტევა. ოსმალეთის საზღვარზე დაბანაკებას ორი მიზეზი ჰქონდა პირველი მათ დახმარებას ჰპირდებოდა და შეიარაღებით ეხმარებოდა ჰასან ბეგ ტავდგირიძე, მეორე აჯანყების დამარცხების შემთხვევაში აჯანყებულები აჭარას შეაფარებდნენ თავს.

1841 წლის 4 ივნისს აჯანყებულები სოფელ ლიხაურში შევიდნენ სადაც მათ რიგებს შეემატა ახალი რაზმები, თავად მიხეილ მაქსიმეიშვილის, ოთარ თოიძის, გოგიჩა გორდელაძის, აზმაურების სვიმონიკა გოგოლიშვილის და გიტო გოგორიკიძის მეთაურობით. გარდა იმისა რომ ლიხაურში აჯანყებულთა რაზმები გაიზარდა ასევე სეიცვალა აჯანყებულთა სოციალური ბაზა, ახლა მარტო გლეხებისგან აღარ შედგებოდა, მასში თავადები და აზნაურებიც მონაწილეობდნენ.

ლიხაურში აჯანყებულთა გეგმები შეიცვალა და მდინარე ჩოლოქის ნაცვლათ ისევ ოზურგეთისკენ დაიძრნენ, ამის მიზეზი სავარაუდოდ ჰასან ბეგსა და აჯანყებულებს შორის კონფლიქტი უნდა ყოფილიყო, აჯანყებულები კარგად ხვდებოდნენ რომ ჰასან ბეგს სხვა გეგმები ჰქონდა, მისი მიზანი იყო საბოლოოდ გურიის ოსმალეთის შემადგენლობაში გადასვლა.

აჯანყებულები სოფელ დვუაბზუში შევიდნენ, აჯანყებულებმა გადაწვეს საბაჟოსა და კარანტინის შენობები, ჩახერგეს წმინდა ნიკოლოზის სიმაგრისაკენ (შეკვეთილი) მიმავალი გზა, ასევე ნაგომრითა და ჩოხატაურით ქუთაისისკენ მიმავალი გზებიც. რადგანაც რუსებს ოზურგეთისაკენ ჯარის გადასროლა მხოლოდ ამ ორი გზით შეეძლო. მაზრის უფროსს იმდენად მცირე რიცხოვანი რაზმი ჰყავდა, რომ

აჯანყებულებთან შებრძოლება ვერ გაბედა, თუმცა აჯანყებულებსაც არ დაუწყიათ ოზურგეთზე შეტევა, რითაც კარგი შანსი გაუშვეს ხელიდან. ამის სანაცვლოდ მათ გურიანთისკენ აიღეს გეზი, სადაც მათ მთავრობის ერთგული მაიორი თავადი გიორგი ნაკაშიძე ჩაუსაფრდა და ცეცხლი გაუხსნა, გლეხებმაც ცეცხლითვე უპასუხეს თუმცა მოწინააღმდგის ძალამ სძლია და აჯანყებულებმა უკან დაიხიეს.

ამ ბრძოლას ერთი ხალხური ლექსი გადმოვგცემს: ,, ქვიტირზედ რომ ჩავაწიეთ, ნაკაშიძე წინ დაგვირჩა, გვესროლა, მოგვიკვდა კაცი, კაძახობა სულ წაგვიხდა, მაგიერი ვერ ვესროლეთ, ტამბასა ტყვია გაგვირჩა“ **(უმიკაშვილი, 1937: 128-129).** ამის შემდეგ აჯანყებულები გაიფანტნენ ზოგი უკან დაბრუნდა და ზოგიც ტყეს შეეფარა.

გურიანთაში მოხდარის შემდეგ, გურიაში თითქოს სიმშვიდემ დაისადგურა მაგრამ ეს დროებითი იყო. 1841 წლის 9 ივნისს აკეთის მოსახლეობა ისევ აჯანყდა, ხოლო 18 ივნისს უკვე აჯანყება ჩოხატაურსაც მოედო, სადაც აჯანყებულთა რიგები 600 კაცს ითვლიდა, ჩოხატაურის საგუშაგოზე, კაპიტან ღოღობერიძის მეთაურობით რუსთა ჯარის ერთი ასეული და გურიის მილიცია იდგა. თუმცა ღოღობერიძებ აჯანყებულებთან შებრძოლება ვერ გაბედა და საგუშაგოზე გამაგრდა. აჯანყებას ჩოხატაურში, როსტომ და გიორგი მაშაკაშვილები მეთაურიობდნენ.

4.3. ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები აჯანყების შესაჩერებლად

გურიაში აჯანყებულთა რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა, რამაც შეაშფოთა კავკასიის მმართველობა, თბილისში კავკასიის მთავარსარდალი და ქუთაისში საქართველო-იმერეთის სამხედრო გუბერნატორი დარწმუნდნენ, რომ გურიაში ჩვეულებრივი მღელვარება კიარ იყო არამედ აჯანყება დაიწყო.

აჯანყების შეჩერებას ცდილობდა მაზრის უფროსი იაცენკო, რომელმაც დახმარება სთხოვა საქართველოს პირველი სახაზო ბატალიონის მეთაურს, პოდ პოლკოვნიკ შეპელევს, იაცენკო მისგან ითხოვდა ნაგომრის საგუშაგოზე მდგომი კაზაკთა რაზმისთვის, 250 ჯარისკაცი და ოფიცერი მიეშველებინა. მაგრამ შეპელევმა ვერ შეძლო ამ თხოვნის შესრულება რადგან ამ დროისათვის მას მხოლოდ 160 ჯარისკაცი ყავდა.

აჯანყების დროს გურიაში არ იმყოფებოდა, საქართველო-იმერეთის გუბერნიის, იმერეთის, სამეგრელოს და გურიის სამხედრო ნაწილის უფროსი პოლკოვნიკი ალექსეი ბრუსილოვი, რომელიც იმ დროს დაღესტანში იყო. მას ცვლიდა პოდ პოლკოვნიკი ჩერნიკოვი.

1841 წლის 3 ივნისს ჩერნიკოვმა, საქართველოს პირველი სახაზო ბატალიონის მესამე ასეულის მეთაურს, პორუჩიკ კოვალევსკის უბრძანა, რედუტ კალედან (ყულევიდან) 140 ჯარისკაცით და ოფიცრით ოზურგეთში გადასულიყო. თვითონ ჩერნიკოვი კი, საქართველოს მეორე სახაზო ბატალიონის 167 ოფიცრით და ჯარისკაცით, ასევე კაზაკთა მე-8 პოლკის 50 ცხენოსნით ქუთაისიდან გურიისაკენ დაიძრა, რომელსაც დავალებული ჰქონდა, როდესაც აჯანყებულებს დაამარცხებდა, რუსეთ ოსმალეთის საზღვარზე მისულიყო და დაედგინა აჯანყებაში ჰასან ბეგ თავდგირიძის როლი და მონაწილეობა.

მიუხედავათ ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯებისა აჯანყების შეჩერება მაინც ვერ ხერხდებოდა. ამიტომ საჭირო გახდა დამატებითი ძალების გადასროლა გურიაში, მაგრამ თბილისში გადაწყვეტილების მიღებას აჭიანურებდნენ.

გურიაში მიმავალ ჩერნიკოვს გზაში შეატყობინეს რომ მღელვარება დაიწყო, გურიის მოსაზღვრე ქუთაისის მაზრის ოთხ სოფელში, ჩერნიკოვმა გადაწყვიტა ქუთაისიდან გურიაში მიმავალი გზის დაცვა. 1841 წლის 4 ივნის ჩერნიკოვმა გურიაში მიმდინარე აჯანყების შესახებ, მდინარე რიონსა და მდინარე ცხენისწყლის შესართავთან არსებულ საგუშაგოზე ყოფნის დროს, ინფორმაცია მიიღო იაცენკოს, შეპელენისა და ლიაშენკოსაგან. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მან ქუთაისიდან დამატებიტ გამოიძახა 100 ქვეითი და ორი მსუბუქი ზარბაზანი. მას გადაწყვეტილი ქონდა საჯავახოდან ჩოხატაურის საგუშაგოსთან მისვლა. მაგრაბ 8 ივნისს ჩერნიკომ მიიღო ცნობა იაცენკოსგან რომ აჯანყებულთა რაოდენობა შემცირდა, ამ ინფორმაციის საფუძველზე მან გადაწყვიტა ცხენისწყლის საგუშაგოზე დარჩენილიყო. მაგრამ მალევე შეიცვალა გადაწყვეტილება და რიონის გადავლით და თავად ერისთავების მამულის გავლით ჩოხატაურის საგუშაგოზე მისვლა გადაწყვიტა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა რომ გლეხები მოლაპარაკების გზით დაემშვიდებინა და ჯარები მხოლოდ მთავარმართებელის ბრძანების შემდეგ გამოეყენებინა.

მას შემდეგ რაც კავკასიის მთავარმართებელმა ევგენი გოლოვინმა გაიგო, ქობულეთელი ბეგის ჰასან თავდგირიძის მიერ რუსეთ ოსმალეთის საძღვრის დარღვევა, ჩათვალა რომ ვითარება საგანგააშო იყო და გადამჭყვეტი ზომების გატარება გადაწყვიტა. მან პოლკოვნიკი ჩერნიკოვი გურიიდან გაიწვია, ვინაიდან ალექსანდრე ბრუსილოვი დაღესტანში იმყოფებოდა, გურიის აჯანების ჩახშობა, მოვსეს არღუთინსკი დოლგორუკოვს დაავალა. არღუთინსკი ახალციხეში მსახურობდა, მან კარგად იცოდა ქართული და იცნობდა ადგილობრივი მოსახლეობის ადათ

წესებს. არღუთინსკის დაქვემდებარებაში გადავიდა: ,,საქართველოს პირველი და მეორე სახაზო ბატალიონები, ასევე მესამე სახაზო ბატალიონის ნაწილი, მის განკარგულებაში იყო ადრე რედუტ კალედან ოზურგეთში გადატანილი 2 ზარბაზანი. საჭიროების შემთხვევაში არღუთინსკის დაქვემდებარებაში გადავიდოდა სამეგრელოს ეგერთა პოლკის ერთი ასეული, რომელიც სურამიდან ახალციხის მიმართულებით გზის მშენებლობაზე იყო დაკავებული. გარდა ამისა, გოლოვინმა, სამეგრელოს მთავარ ლევან მეხუთე დადიანს უბრძანა არღუთინსკისთვის სამეგრელოს მილიციის რაზმი გაეგზავნა“ **(გურული, 2017: 508).**

არღუთინსკის დაქვემდებარებაში გადასულ სამხედრო ნაწილებს გურიის რაზმი ეწოდა, რომელიც საკმაოდ ძლიერისამხედრო ძალა იყო. თბილისის სამხედრო გუბერნატორმა გენერალ-ლეიტენანტმა მიხეილ ბრაიკომ, საქარტველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორს გენერალ მაიორ სემიონ კახანოვს უბრძანა გურიაში წასულიყო არღუთინსკისთან ერთად. 1841 წლის 10 ივნისს პოლკოვნიკი არღუთინსკი ახალციხიდან ოზურგეთში გაემგზავრა, 12 ივნისს ოზურგეთში ჩავიდა გენერალი კახანოვი, 13 ივნისს კი არღუთინსკი, ოზურგეთში ჩასულ გენერლებს ერთი შეხედით სიმშვიდე დახვდათ, არღუთინსკი დარწმუნდა რომ გურიის რაზმის გაზრდა საჭირო აღა იყო.

15 ივნისს დაღესტნიდან დაბრუნდა ალექსეი ბრუსილოვი, რომელმაც არღუთინსკის გოლოვინის ბრძანება გადასცა რომლის მიხედვითაც, აჯანყების ჩასახშობად მობილიზებული ჯარის ნაწილები მის დაქვემდებარებაში გადადიოდა, ხოლო არღუტინსკი ახალციხეში უნდა დაბრუნებულიყო.

ბრუსილოვი სიტვაციაში გარკვევის შემდეგ დარწმუნდა რომ დამათებიტ ქართველ გრენადელთა პოლკის გაგზავნა გურიაში საჭირო არ იყო. გენერალ მაიორმა კახანოვმა თბილისში გამგზავრებამდე ბრზანება გასცა, რომ აჯანების თავიდან ასაცილებლად საჭიროების შემთხვევაში გადასახადები

თურქული ლირითაც მიეღოთ, ასევე მან იაცენკოს დაავალა აჯანყები მიზეზების გამოძიება, თავად გიორგი ნაკაშიძეს კი უბრძანა რომ მაზრის უფროსისთვის გადაეცა იმ 12 გლეხის სია რომლებიც აქტიურად უყვნენ ჩართული აჯანყებაში. კახანოვმა ,,გაუგებრობა“ აღმოფხვრილათ ჩათვალა და 16 ივნისს გურია დატოვა.

4.4. აჯანყების გაძლიერება

1841 წლის 17 ივნის გადასახადების გადახდაზე უარი განაცხადეს, ასკანის სამოურავოს გლეხებმა, მანამ სანამდეც ამა აკეთელი გლეხები არ გადაიხდიდნენ.

18 ივნისს საერისთავოს გლეხობამ გამოთქვა უკმაყოფილება, 20 ივნისს კი ასევე უკმაყოფილების გამოსახატად გამოვიდნენ შემოქმედის გლეხები, მათ გოგია და როსტომ მამინაიშვილები მეთაურობდნენ, ისინი უკმაყოფილების მიზეზად ელისაბედ გურიელისგან მიყენებულ შეურაწყოფას ასახელებდნენ.

21 ივნისს სოფელ ჯვარცმაში 300 კაცი შეგროვდა, ისინი საჯავახოსკენ მიემართებოდნენ, მათ მეთაურბდა იორდანე პაიჭაძე, გლეხებს გზად სხვა სოფლის ლეხობაც უერთდებოდა, მათი რაზმი 1500-მდე გაიზარდა. მილიციამ სცადა აჯანყებულთა გარეკვა მაგრამ ვერაფერი მოახერხა.

გურიაში მდგომარეობა ისევ გამწვავდა რის გამოც სამოქალაქო გუბერნატორი კახანოვი თბილისიდან ისევ უკან დაბრუნდა, მან 24 ივნისს მოიარა მღელვაე სოფლები და აჯანყებულებს დაშლა უბრძანა, ამ შემთხვევაში გლეხები გუბერნატორს დაემორჩილნენ და დაიშალნენ.

ივნისის ბოლოსკენ აჯანყება მინელდა, გლეხებმა ყანებს მიაშურეს, მხოლოდ აჯანყების აქტიური მოთავეები აფარებდნენ ტყეს თავს, რომლებსაც დაეძებდნენ მაგრამ ტყე საიმედოდ იცავდა მათ.

1841 წლის 27 ივნისს, კახანოვს აცნობეს, სოფელ ნაგომარის საგუშაგოდან, რომ სამი ჯარისკაცი რომლებიც ოზურგეთში პროვიანტის მოსატანად იყვნენ წასულნი, 30-მდე შეიარაღებულმა გლეხმა სცადა მათი გაძარცვა. კახანოვი ამ ინციდენტმა დაარწმუნა რომ სანამ აჯანყების მოთავეები ტყეს აფარებდნენ თავს, ახალი აჯანყება ყოველთვის იქნებოდა მოსალოდნელი. ამიტომ მან ბრუსილოვს უბრძანა რომ გურიის რაზმი მზად

ყოფნაში ჰყოლოდა რათა აჯანყების ახალი კერები აღეკვეთათ. ბრუსილოვმა არ გაიზიარა კახანოვის ბრძანება არ გაიზიარა და სეუძლებლად მიიჩნია გურიის ტერიტორიაზე გაფანტული რაზმის სასწრაფოდ თავმოყრა, ასევე ის ფიქრობდა რომ ნაგომრისა და ჩოხატაურის საგუსაგოზე მყოფი სამხედოები საკმარისი იქნებოდნენ აჯანყებულთა შესაპყრობათ.

გურიაში ივლისის დასაწყიშიც ჰქონდა ადგილი გლეხთა გამოსვლებს მაგალითად 4 ივლისს საერობო გადასახადზე უაი განაცხადეს სოფელ თხინვალის გლეხებმა რომელსაც მაშინვე გამოეხმაურა აჯანყების მთავარი კერა აკეთი.

13 ივლისს საერობო გადასახადზე უარი განაცხადა სებეკას უბნის ოთხმა სოფელმა ონჯოხეთი, გადიდი, უხუთი და დვალი. ამ გამოსვლას მეთაურობდნენ რამაზია და სეხნია დვალიშვილები. მაზრის უფროსი შეეცადე გლეხების დამშვიდებას მაგრამ არაფერი გამოუვიდა **(ხაჭაპურიძე, 1931: 71).**

26 ივლისს სოფელ ხვარბეთში 100-მდე შეიარაღებული გლეხი შეიკრიბა. ხვარბეთს მიყვა სხვა სოფლებიც.

გურიაში შექმნილ სიტვაციას ყველაზე კარგად კახანოვი აფასებდა, რომელსაც როგორც ვნახეთ ბრუსილოვი არ დაეთანხმა ამის გამო მათ ვერ შეიპყრეს აჯანყების მოთავეები და ვერ არკვეთს აჯანყებისკენ მოწოდება. გლეხების პროტესტი ისევ აშკარა დაუმორჩილებლობაში გადაიზარდა.

1841 წლის ივლისის ბოლოს სოფელ გურიანთის გლეხობამ საჯაროდ განაცხადა, რომ ახალ გადასახადებს არ გადაიხდიდნენ, გურიანთელებს მიბაძეს ლიხაურის გლეხებმაც, ისინი სოფელ სოფელ დადიოდნენ და აჯანყებისკენ მოუწოდებდნენ ხალხს. მაზრის უფროსმა თავიდან გადაწყვიტა ჯარის გაგზავნა აჯანყებულთა დასაშლელად მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა რადგანაც გლეხები ერთ ადგილას არ ჩერდებოდნენ მათი დევნა

კი დიდ სამხედრო რესურს მოითხოვდა. ამის შემდეგ იაცენკომ გადაწყვიტა აჯანყებულებტან თვითონ წასულიყო და მოლაპარაკება გაემართა, ის 3 აგვისტოს მივიდა აჯანყებულებთან. მან მოლაპარაკება გამართა სამ ყველაზე გავლენიან და ავტორიტეტულ გლეხთან, იაცენკო პირდებოდა მათ რომ გადასახადები არ გაეზრდებოდათ და არც რუსულ ჯარში გაიწვევდნენ გლეხებს. გლეხებმა მოილაპარაკეს რის შემდეგაც უმრავლესობამ გადაწყვიტა ბოლომდე ებრძოლათ და ამ პირობებს არ დათანხმდნენ. 5 აგვისტოს კახანოვმა ბრუსილოვს უბრძანა რომ სოფელ ნაგომრის საგუშაგოდან ერთი ასეული და ერთი ზარბაზანი სოფელ ოზურგეთში გადაეყვანა.

გურიანთელ და ლიხაურელ გლეხებს მალე სხვა სოფლებიდანაც შეუერთდნენ, ასეტები იყვნენ ჩახათისა და ჩოჩხათის გლეხები, მიუხედავად იმისა რომ ამ გლეხებს აგადასახადი უკვე გადახდილი ჰქონდათ მაინც უერთდებოდნენ აჯანყებულებს. მალე აჯანყებულებს თანადგომა გამოუცხადა აზნაურების დიდმა ნაწილმა ხოლო თავადების ნაწილი ოზურგეთში გამოცხადდა და ხელისუფლებას ეხმარებოდა.

გურიაში აჯანყების თავდან დაწყებამ შეაშფოთა კავკასიის მთავარმართებელი გოლოვინი, რადგანაც ის შიშობდა რომ გურიიდან აჯანყება შეიძლება გავრცელებულიყო სამეგრელოსა და საქართველოს სხვა კუთხეებში ასევე კავკასიაში.

აჯანყებული გლეხები ერთი სოფლიდან მეორეში დადიოდნენ და მოსახლეობას აჯანყებისკენ მოუწოდებდნენ, აჯანყებულთა ერთი ნაწილი კი გურია-იმერეთის საზღვარზე გაიგზავნა, მათ გზა უნდა შეეკრათ გურიაში გაგზავნილი სამხედრო ძალებისთვის, მეორე ნაწილი კი შეკვეთილისაკენ დაიძრა.

8 აგვისტოს გურიაში შეიარარებული აჯანყება დაიწყო. მათ წმინდა ნიკოლოზის სიმაგრისაკენ მიმავალ გზაზე ჩასაფრება მოაწყვეს და ცეცხლი

გაუხსნეს რუს ჯარისკაცებს რომლებსაც პროვიანტი გადაჰქონდათ ურმებით. ბრუსილოვმა პროვიანტის დაცვა პირველი სახაზო ბატალიონის ჯარისკაცებით გააძლიერა, მეორე სახაზო ბატალიონის ერთი ასეული კი პორუჩიკ ჭილაძის მეთაურობით ლიხაურში გაგზავნა. ჭილაძემ ლიხაურელებს დაშლისკენ მოუწოდა მაგრამ მათ განუცხადეს რომ გურიანთელებისათვის ფიცი ქონდათ ნათქვამი და ვერ უღალატებდნენ.

პოლკოვნიკი ბრუსილოვი, ფიქრობდა რომ აჯანყებულები ოზურგეთიდან შეკვეთილის მიმართულებიტ მიმავალი გზის გადაკეტვას შეეცდებოდნენ ამიტომ, 9 აგვისტოს დილის 5 საათზე, ბრუსილოვი 200 ქვეითითა და 2 ზარბაზნით ოზურგეთიდან სოფელ გოგორეთისკენ დაიძრა, მან გზაში გაიგო, რომ გოგორეთში აჯანყებულები იყვნენ გამაგრებული დაახლოებით 500-მდე კაცი. რომელთა შორის ბევრი აზნაურიც იყო, ასევე ბრუსილოვს აშინებდა ცნობა იმის შესახებ რომ გოგორეთში აჯანყებულების დასახმარებლათ ჩოჩხათიდან და ლიხაურიდან რაზმებს ელოდებოდნენ. რის შემდეგაც გლეხები შეკვეთილს უნდა დასცემოდნენ.

ბრუსილოვმა რაზმი გოგორეთდან ორ კილომეტრში შეაჩერა და აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად კაპიტანი გაბაშვილი გაგზავნა, რომელსაც ასი ჯარისკაცი ახლდა თან. რამდენიმე მეტრიანი წინსვლის შემდეგ გაბაშვილის რაზმს აჯანყებულებმა ცეცხლი გაუხსნეს. ბრუსილოვმა სასწრაფოდ დაძრა რაზმი დასახმარებლად, ზარბაზნებიდან გახსნილი ცეცხლით მან აიძულა აჯანყებულები ცეცხლი შეეწყვიტათ. მაგრამ მალე ისევ გაუხსნეს ცეცხლი აჯანყებულებმა რასაც რუსებმაც უპასუხეს. ბრძოლა დილის ათი საათიდან შუადღის ორ საათამდე გაგრძელდა. ბრუსილოვმა ტყეში გზის გაგრძელება მიზანშეწონილად არ ჩათვალა რადგანაც ოთხ საათიანი ბრძოლის შემდეგ მას ყუმბარების და ტყვიების მარაგი აღარ ჰქონდა ასევე მას სათანადო რეზერვიც არ გააცნდა. მან შეძლო უკანდახევის ორგანიზება მაგრამ აჯანყებულმა გურულებმა რუსებს 12 ვერსის მანძილზე სდიეს და რამდენჯერმე ძლიერი ცეცხლიც გაუხსნენს. ამ ბრძოლაში

აჯანყებულებს აბესა ბოლქვაძე მეთაურბდა რომელმაც თავი ისახელა. ამ ბრძოლაში რუსების დანაკარგი იყო 6 მოკლული და 16 დაჭრილი. აჯანყებულთა დანაკარგი გაცილებით დიდი იყო რადგანაც ბრუსილოვმა მათ წინააღმდეგ ზარბაზნები გამოიყენა, მათი დანაკარგი იყო 15 მოკლული და 40 დაჭრილი.

გოგორეთის ბრძოლაში აჯანყებულების გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც მან ხელი შეუწყო აჯანყების წარმატებით განვითარებას, აამაღლა და გაზარდა აჯანყებულთა საბრძოლო სულისკვეთება, მათი გამარჯვების ხმა ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა მტელ გურიაში, რამაც ხელი შეუწყო აჯანყებულთა რაოდენობის ზრდას, ახლა ისინიც ჩაერთვნენ აჯანყებაში ვინც აქამდე ალმაცერად უყურებდა აჯანყებას.

გოგორეთთან გამარჯვებამ აჯანყებულები გაათამამა, ისინი ამ გამარჯვებით არ დაკმაყოფილდნენ და 9 აგვისტოს თავს დაესხნენ რუსთა ჯარის აღალს რომლებსაც პროვიანტი გადაჰქონდათ ოზურგეთიდან სოფელ გურიანთაში, აღალის 8 მცველიდან, 4 ჯარისკაცი მოკლეს 2 კი ტყვედ აიყვანეს. გამცილებელთა მთელი შეიარაღება და აღალი აჯანყებულებს დარჩათ. მაგრამ მათ რუსების მომხრე თავადი გიორგი ნაკაშიძე დაედევნა და ორი კაცი მოუკლა ორიც დაუჭრა და ნადავლის ნაწილიც წაართვა. 9 აგვისტოსვე აჯანყებულთა მეორე ნაწილი 200 კაციანი რაზმით თავს დაესხა ჩოლოქის საგუშაგოს, სადაც 4 კაზაკი იმყოფებოდა აქედან სამი კაზაკი და მათი მთელი ქონება ხელში ჩაიგდეს აჯანყებულებმა. საგუშაგოს არების შემდეგ მათ დაარბიეს ჩოლოქზე არსებული საბაჟ ო და კარანტინი, იქ არსებული ქონება კი ხელში ჩაიგდეს. აზნაური გოგის ქარცივაძე მცირე რაზმიტ თავს დაესხა ნატანების საგუშაგოს გაძარცვა და გადაწვა, ასევე გაანაადგურა ნატანებზე რუსების მიერ აგებული გადასასვლელები რითაც გაწყდა კავშირი წმინდა ნიკოლოზის სიმაგრესთან.

აჯანყებულები თავბრუდამხვევი სისწრაფით მოქმედებდნენ, მათი მიზანი იყო მთელი გურიის შეკვრა, რის შემდეგაც ოზურგეთზე მიიტანდნენ იერიშს, აჯანყებულებმა გადაკეტეს ოზურგეთისკენ მიმავალი გზები. ბრუსილოვი კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდა.

,,1841 წლის 10 აგვისტოს პოლკოვნიკი ალექსეი ბრუსილოვი კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსს გენერალ-მაიორ პაველ კოცებუს მოახსენებდა, რომ აჯანყებულებმა წინასწარ დაწვეს ის ხიდები და ბორნები, რომლებიც შეიძლებოდა რუსეთის ჯარს გამოეყენებინა“ **(გურული, 2017: 512).**

აჯანყებულების მიერ სხვადასხვა სტრატეგიული ობიექტების აღების შემდეგ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა წმინდა ნიკოლოზის (შეკვეთილის) სიმაგრე, რომელიც სიმაგრეს მხოლოდ ფურცელზე თუ წარმოადგენდა რეალურად, მას არათუ ხანგრძლივი ალყის არამედ მცირედი ბრძოლის მოგერიებაც კი არ შეეძლო. 10 აგვისტოსთვის სიმაგრეში მხოლოდ 14 ოფიცერი და ჯარისკაცი იმყოფებოდა, სიმაგრეში მყოფი გარნიზონის უფროსი, კაპიტანი შჩედრინი სასოწარკვეთილი სთხოვდა მეორე სახაზო ბატალიონის მეთაურს დახმარებას.

1841 წლის 10 აგვისტოს წმინდა ნიკოლოზის სიმაგრეს ორიათასი აჯანყებული მიუახლოვდა, აჯანყებულთა ერთ-ერთ რაზმს აზნაური აბესა ბოლქვაძე მეთაურობდა. მცირედი შეტაკების შემდეგ, სიმაგრეში 900-მდე აჯანყებული შეიჭრა, გაძარცვეს და დაანგრიეს იგი. აჯანყებულები ჯერ ყაზარმებში შეცვივდნენ, ხელთ იგდეს იარაღი და საბრძოლო მასალა, მხოლოდ ამის შემდეგ წავიდნენ ისინი სიმაგრის უფროსთან და მას მოსთხოვეს დანებება, მის სახლში არსებული იარაღის, თოფისწამლის და მთლიანად ქონების გადაცემა, წინააღმდეგ სემთხვევაში სახლის გადაწვით იმუქრებოდნენ, კაპიტანი შჩედრინი აჯანყებულთა მოთხოვნებს დაეთანხმა, 200-მდე აჯანყებულმა გაძარცვა საბაჟო და იქ არსებული დოკუმენტები გაანადგურეს. სიმაგრეში მხოლოდ 100 აჯანყებული დარჩა. 1000-მდე კი ნატანების საგუშაგოსკენ გაემართა. კაპიტანმა შჩედრინმა შეძლო

აჯანყებულებთან მოლაპარაკება და 14 ჯარისკაცთან ერთად სიმაგრე დატოვა.

წმინდა ნიკოლოზის სიმაგრესთან ერთად აჯანყებულებმა დაიკავეს მდინარე მალთაყვაზე და მდინარე სუფსაზე არსებული გადასასვლელები. აჯანყებულები თავიდან ოზურგეთზე იერიშს აპირებდნენ თუმცა შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალეს და ოზურგეთის გარშემო არსებული სოფლების და საგუშაგოების აღება გადაწყვიტეს, რითაც ოზურგეთი იზოლირებული აღმოჩნდებოდა და მისი აღება უფრო მარტივი იქნებოდა. აჯანყებულები პირველად სოფელ გურიანთისკენ გაემართნენ სადაც პირველი სახაზო ბატალიონი იდგა და მისი განადგურება გადაწყვიტეს. აჯანყებულებმა გურიანთისკენ მიმავალი გზები ჩახერგეს და გაუვალი გახადეს, რითაც გურიანთის გარნიზონი ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა მათ სურსათი ელეოდათ და შევსება კი შეუძლებელი იყო. როდესაც ბრუსილოვმა გურიანთის ამბები შეიტყო ჩათვალა რომ აჯანყებულები ოზურგეთსაც მალე დაესხმებოდნენ თავს და ოზურგეთიდან სამ კილომეტრში მდგარი კარანტინის დასაცავად 25 ჯარისკაცი გაგზავნა, ოზურგეთში მყოფ გურიის მილიციის უფროსს კი კარანტინის დაცვისთვის დამატებითი რაზმის გაგზავნა უბრძანა.

გურიანთაში მყოფი გარნიზონის უფროსმა პორუჩიკმა მიქელაძემ აჯანყებულებთან ბრძოლა შეუძლებლად ჩათვალა და გურიანთიდან გაპარვა ამჯობინა. 13 აგვისტოს მიქელაძე თავისი გარნიზონით და ნაკაშიძეების თანხლებით აჯანყებულებს ხელიდან გაუსხლტა და ოზურგეთში ჩავიდა. ეს აჯანყებულებისათვის არც თუ ისე ხელსაყრელი იყო რადგანაც ოზურგეთში მდგომ გარნიზონს ძალები ემატებოდა და თავდაცვის უნარიანობას უზრდიდა.

,,ოზურგეთში ბრუსილოვის განკარგულებაში 1841 წლის 13 აგვისტოსთვის იყო: 500 რუსი ოფიცერი და ჯარისკაცი, 100 მილიციელი 20 კაზაკი 2 ზარბაზანითა და 8 ყუმბარით“ (იქვე).

გურიანთა აჯანყებულების ხელში გადავიდა რის შემდეგაც აჯანყებულთა ნაწილმა ლიხაურის საგუშაგო ალყაში მოაქცია. საგუშაგოში მყოფი გარნიზონი სურსათის ნაკლებობას განიცდიდა და ,,სულს ღაფავდა". მაგრამ მათ დახმარება გაუწია აზნაურ ქ. თაყაიშვილის დედამ რის შემდეგაც გარნიზონის ჯარისკაცები ოზურგეტში ცავიდნენ, ამ ,,დამსახურებისთვის" თაყაიშვილის დედა სათანადოთ დაასაჩუქრეს.

ლიხაურის და ასკანის შემდეგ აჯანყებაში ჩაებნენ ასკანის სამოურავოს მცხოვრებნი, რომლებსაც მეთაურობდნენ მამუკა ანთაძე და მუხრანბეგ დოლიძე. აჯანყებულები ასკანის საგუშაგოს აღებას აპირებდნენ მაგრამ მოურავ დიმიტრი ერისთავის ჩარევის შემდეგ გადაიფიქრეს და ვაკიჯვრისაკენ გაემართნენ, დაარბიეს ვაკვიჯვარში არსებული საგუშაგო.

აჯანყებულთა აქტიური მოქმედებების შედეგად მოკლე დროში, მათ სეძლეს დაეკავებინათ სტრატეგიული ობიექტები, უმთავრესი სიმაგრეები, გზები გადასასვლელები, სოფლები და ა.შ. აჯანყებულებმა უზრუნველყვეს რა ზურგის უსაფრთხოება დღის წესრიგში დადგა ოზურგეთის აღება.

ოზურგეთში მყოფი ალექსეი ბრუსილოვი თავდაცვისთვის ემზადებოდა. დროებით ყველა სამუშაო შეაჩერა, შეიარაღდნენ სამხედრო მოსამსახურეები, მატ შორის ისინიც ვისაც იარაღის ტარება არ ევალებოდა. გურიის მილიციასაც დაურიგეს იარაღი. თუმცა გატარებული ღონისძიებები მაინც არ იყო საკმარისი,საბრძოლო მასალა საკმარისი არ იყო ხანგრძლივი ბრძოლისთვის, გურიის მილიციას ტყვია წამალი საერთოდ არ გააჩნდათ, სწრაფათ მცირდებოდა პროვიანტის მარაგი, ცოტა იყო ცხენებისთვის ფურაჟი დარჩენილი, ჯარისკაცთა და ოფიცერტა ნაწილი ციებით იყო დაავადებული, 250 კაცი უკვე ჰოსპიტალსი იწვა და მას ყოველდღე ემატებოდნენ. ოზურგეთი ალყაში იყო მოქცეული და სხვადასხვა საგუშაგოებზე მყოფი ჯარისკაცები ვერარ აღწევდნენ ოზურგეთამდე.

ოზურგეთის გარშემო თანდათან აჯანყებულების დიდი რაოდენობა იყრიდა თავს, ამის პარალელურად გავრცელდა ხმები, რომ ქობულეთიდან აჯანყებულთა დასახმარებლად 100 ოსმალო მეომარი გადმოვიდა, რუსებმა ეს ყველაფერი ქობულეთის მმართველს ჰასან ბეგ თავდგირიძეს დაუკავშირეს. მაგრამ მოულოდნელად ჰასან ბეი ბრუსილოვს დაუკავშირდა და მას დახმარება შესთავაზა, ჩვეულებრივ ვითარებაში ბრუსილოვი ამ წინადადებას სერიოზულად არ მიიჩნევდა მაგრამ ახლა გამოუვალ მდგომარეობაში იყო და მისი ეს წინადადება მიიღო . ბრუსილოვი ჰასან ბეის შემდეგ რამეს სთხოვდა: ,,1. ქობულეთის სანჯაყის მონაკვეთზე რუსეთ-ოსმალეთის საზღვრის დაცვა იმდენად გაეძლიერებინა, რომ ვერც ოსმალები გადმოსულიყვნენ გურიაში და ვერც გურულები ქობულეთის სანჯაყში; 2. აეკრძალა ქობულეთის სანჯაყიდან გურიაში ტყვია-წამლის შემოტანა; 3. რუსეთის ხელისუფლებისთვის გადაეცა ტყვეებით მოვაჭრე გურულები, ხოლო ტყვეები სამშობლოში დაებრუნებინა“ **(იქვე: 516).**

ჰასან ბეგმა ბრუსილოვის თხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებლად მიიჩნი, საპასუხოდ მასაც ქონდა თხოვნა, მას სურდა საკუთარი სახელის გამოსწორება კერძოდ თუ ის ბრუსილოვს დაეხმარებოდა, ეს რუსებს არზრუმის ფაშისთვის უნდა ეცნობებინათ, რითაც თავდგირიძე საკუთარი თავის რეაბილიტაციას მოახდენდა, მანამდე რუსების მიერ ოსმალებისთვის მიწოდებული მისი უღირსი საქციელების შესახებ.

ჰასან ბეგ თავდგირიძესთან ურთიერთობის დალაგება დიდი ვერაფერი შველა იყო ოზურგეთში მდგარი რუსებისთვის, 14 აგვისტოს აჯანყებულებმა უკვე კონტროლი დააწესეს ოზურგეთიდან საჯავახოს გავლით მიმავალ გზაზე. 15 აგვისტოს 5 საათისთვის დასრულდა ოზურგეთისთვის ალყის შემორტყმა. ოზურგეთზე შეტევა მხოლოდ კოკისპირული წვიმის გამო გადაიდო. აჯანყებულები მთელი დღის მანძილზე ბუკით მოუწოდებდნენ სხვა სოფლების მცხოვრებთ, ისინი ნასაკირალის მთაზე იკრიბებოდნენ სადაც გადიოდა გზა ნაგომრისაკენ, მათი მიზანი იყო ქუთაისიდან

მომავალი დამხმარე ძალა არ შეეშვათ ოზურგეთში. 15 აგვისტოდან ოზურგეთი მთლიანად მომწყდარი იყო გარე სამყაროს.

15 აგვისტოს გენერალი მოვსეს არღუთინსკი ახალციხიდან ოზურგეთისაკენ დაიძრა, მას უნდოდა პირადად გაცნობოდა შექმნილ ვითარებას, 16 აგვისტოს ის სოფელ ვაკიჯვარში შეჩერდა, მას აშფოთებდა ის რომ წმინდა ნიკოლოზის სიმაგრიდან, ფოთიდან და ქუთაისიდნ ოზურგეთში მიმავალი გზები აჯანყებულთა ხელში იყო.

16 აგვისტოს იმერეთიდან გამოსული მილიცია პოლკოვნიკ წერეთელის მეთაურობით, ნაგომრის საგუშაგოს მიუახლოვდა რომელიც აჯანყებულებს ალყაში ჰყავდათ მოქცეული, მიუხედავად ამისა წერეტელმა შეტევაზე გადასვლა ვერ გაბედა რადგანაც მას ყუმბარები კი ქონდა მაგრამ ზარბაზნები არ გააჩნდა ამიტომ ის ცდილობდა მეორე და მესამე სახაზო ბატალიონებტან შეერტებას რომლებსაც ზარბაზნები ჰქონდათ და მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდოდა შეტევაზე. მაგრამ მათი შეერთება ვერ მოხერხდა რადგან აჯანყებულებმა სახაზო ბატალიონები ჩოხატაურტან კარგა ხნიტ შეაჩერეს, ამის გამო წერეთელს ვერ გადაეწყვიტა ვის დახმარებოდა პირველ რიგში ალყაშემორტყმულ ოზურგეთს, ნაგომარს თუ ჩოხატაურს?! 19 აგვისტოს მან გადაწყვიტა ჯერ ჩოხატაურის საგუშაგოსთან მდგარი აჯანყებულები დაემარცხებინა შემდეგ ნაგომარში და ამის შემდეგ წასულიყო ოზურგეთში. წერეთელმა შეძლო ჩოხატაურში პორუჩიკ ლევინსკის რაზმთან შეერთება და მიუხედავათ იმისა რომ მას უკვე 500 ჯარისკაცი და 2 ზარბაზანი ქონდა მაინც უარი განაცხადა ოზურგეთში პირდაპირ გაჭრაზე.

1841 წლის 18 აგვისტოს ფოთიდან დაიძრა სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი, სამეგრელოს მილიციის 1000 მებრძოლთან ერთად. იმავე დღეს სამეგრელოს მილიციამ აჯანყებულები მალთაყვიდან განდევნა, ხოლო ორ დღიანი ბრძოლების შემდეგ კი გრიგოლეთიც დაიკავა. აჯანყებულებმა სცადეს დაკარგული პოზიციების აღდგენა მაგრამ უშედეგოდ. ამ

მბრძოლაში დაიღუპა აჯანყებულთა ერთ ერთი ლიდერი ქაქუჩელა გუგუნავა ხოლო სამეგრელოს მილიციის დანაკარგები იყო 1 დაღუპული, 23 დაჭრილი და 14 კანტუზირებული. მიუხედავად ამ გამარჯვებებისა სამეგრელოს მილიციამ ვეღარ შეძლო გზის გაგრძელება ოზურგეთისაკენ, რადგან გზები ჩახერგილი იყო, ყოველი ბორცვი სიმაგრეებად იყო ქცეული, ხიდები განადგურებული იყო ხოლო მდინარეზე გადასასვლელ ფონს აჯანყებულები იცავდნენ. 23 აგვისტოს სამეგრელოს მილიციამ უკან დაიხია მაგრამ მათ აჯანყებულებმა გზები მოუჭრეს, რის შემდეგაც დადიანი და მისი ჯარისკაცები გზის გახსნის სანაცვლოდ იძულებული შეიქმნენ გადაჯვარედინებულ თოფებში გამძვრალიყვნენ რაზეც რამდენიმე ხალხური ლექსი მოგვითხრობს: ,,დადიანი მისი ჯარით ყუყვით მივა უკან ბარდში; თოფის სროლა რომ შეიქმნა ბალოტაში რატომ დარჩი? აწი შიმშილი მოგიწევს, დავწინდრეთ ლუკმა ჭადში! ამის მეტი თვარ შეგეძლოთ, თქვენს დედმამას რატომ დარჩით“ **(უმიკაშვილი, 1937: 129)** და მეორე ,, თოფ-იარარ დანაყარი, ალიაში გაამვრინეს, და თავადებს ცემით ვოფლი, შით კბილებში გაადინეს“ **(ღლონტი, 1937: 107).** ამის შემდეგ აჯანყებულებმა ისინი გაუშვეს თუმცა ეს მათ მიერ დაშვებული შეცდომა იყო რადგანაც შემდეგში ეს ჯარისკაცები აჯანყებულთა წინააღმდეგ კიდევ ერთხელ იქნა გამოყენებული. ლევან დადიანმა 300 ცხენოსანი და 200 ქვეითი ცხენისწყლის საგუშაგოზე განალაგა ხოლო 100 მილიციელი გურია სამეგრელოს საზღვარზე რითაც აჯანყებულებს სამეგრელოში გადასვლის შანშსი მოუსპო. ჯარების ნაწილი კი პოლკოვნიკ არღუთინსკის დაქვემდებარებაში გადავიდა.

1841 წლის აგვისტოს ბოლოსკენ აჯანყებულთა რაოდენობა 7200 კაცს შეადგენდა საიდანაც 4000 მებრძოლი ოზურგეთთან და ფოთის მახლობლად მალთაყვის სანაპიროზე იდგა, 2700 აჯანყებულს ჩოხატაურის საგუშაგოსთან იმერეთის მილიცია ყავდა ალყაში მოქცეული 500 მებრძოლი კი გურია იმერეთის საზღვარზე იდგა.

24 აგვისტოს დილის ათ საათზე აჯანყებულებმა იერიში მიიტანეს ჩოხატაურის საგუშაგოზე, მაგრამ შეტევა უშედეგოდ დამთავრდა, ამის შემდეგაც მრავალჯერ სცადეს საგუშაგოს აღება მაგრამ რუსთა ცეცხლი მათ წინსვლის საშუალებას არ აძ;ევდა. ამის შემდეგ აჯანყებულებმა მოწინააღმდეგის სადგომების გადაწვა მოინდომეს, ეს საქმე საკუთარ თავზე აიღო გლეხმა ვაჩეიშვილმა, რომელმაც გაღვივებული სოკოები ბზეკალა-კოდალით გადაისროლა მილიციელთა ბანაკში, მალე კარვებს ცეცხზლი მოეკიდა. 27 აგვისტოს წერეთელი იძულებული გახდა საჯავახოსკენ დაეხია.

ამრიგად, აჯანყებულებმა ოზურგეთში მომავალი მაშველი რაზმები დაამარცხეს, ოზურგეთში მყოფი გარნიზონის მდგომარეობა კი დღითი დღე რთულდებოდა და უარესდებოდა, რასაც უკანასკნელნი არ მალავდნენ **(ხაჭაპურიძე, 1931: 79).**

1841 წლის 23 აგვისტოს აჯანყებულებმა ოზურგეთის გარშემო ყველა გორაკი დაიკავეს, ერთ ერტზე კი ზარბაზანი აიტანეს და ოზურგეთის ჰოსპიტალი დაბომბეს თუმცა საპასუხო ცეცხლის შემდეგ დაბომბვა შეწყვიტეს. 30 აგვისტოს მდგომარეობით აჯანყებულებს ციხის გარშემო თითქმის ყველა შენობა დაკავებული ჰქონდათ, ციხიდან გამოსული რუსები კი აჯანყებულთა ცეცხლის მსხვერპლნი ხდებოდნენ. ოზურგეთში მდგარი გარნიზონი ტყვია წამლის და ყუმბარების სიმცირეს განიცდიდა რის გამოც ბრუსილოვმა ბრძანება გასცა რომ ცეცხლი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გაეხსნათ.

27-28 აგვისტოს ოზურგეთის ციხიდან გაიქცნენ გურიის მილიციის 20 მებრძოლი თავად დავით გუგუნავას მეთაურობით რომელიც შემდეგ აჯანყებულთა აქტიური მოთავე გახდა. ამის შემდეგ ბრუსილოვმა თავიდან მოსთხოვა გურიის მილიციას და მის მეთაურ პოდპოლკოვნიკ მაჭუტაძეს იმპერიის ერთგულებაზე დაფიცება.

აჯანყებულთა გეგმა ასეთი ყოფილა რომელსაც აჯანყების ერთ ერთი მონაწილე ედიშელ თაყაიშვილი გადმოგვცემს; ,,დავით გუგუნავას რაზმი უნდა მოსულიყო ნაგომრიდან, ხოლო დავით გურიელის ლანჩხუთიდან, ეს იქნებოდა მემარჯვენე და მემარცხენე ფრტები შეტევისა, ლეხოურელები და მაკვანეთლები უნდა ჩასულიყვნენ ჟუჟის პირზე, გოგორშვილის მეთაურობით, გოგორიშვილის რაზმი იქნებოდა მებრძოლთა ცენტრი“ **(სიხარულიძე, 1956: 78).**

1841 წლის პირველ სექტემბერს 3 საათზე, აჯანყებულებმა ოზურგეთს ყოველი მხრიდან შეუტიეს. ბრძოლას ხელმძღვანელობდნენ: თავადები ამბაკო შალიკაშვილი და დავით გუგუნავა, აზნაურები ოთარ თოიძე, აბესა ბოლქვაძე და ბაქანიძე. აჯანყებულთა 3000 მებრძოლი მოულოდნელად გადავიდა შეტევაზე, თავიდან ოზურგეთში მდგარ გარნიზონს აქტიურობა არ გამოუჩენია, რამაც კიდევ უფრო გაათამამა აჯანყებულები, მაგრამ მოულოდნელად პრაპორშიკმა მაკუხინმა ზარბაზნები საბრძოლო პოზიციებზე განალაგა და ძლიერი ცეცხლი გაუხსნა აჯანყებულებს რითაც შეტევაზე გადასული აჯანყებულების პირველი ნაკადი მოცელა, შემდეგ მან ზარბაზნები მეორე მხარეს გადაიტანა და კვლავ დიდი ზიანი მიაყენა აჯანყებულთა მეორე კოლონასაც. მალე აჯანყებულებმა უკან დაიხია რიტაც ისარგებლა პროპურჩიკმა მიქელაძემ და 70 რუსთან ერთად შეტევაზე გადავიდა გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, მალე აჯანყებულებმა უკან დახევა დაიწყეს. აჯანყებულთა მესამე კოლონის წინაარმდეგ ცეცხლი ზარბაზნებიდან პირადად ბრუსილოვმა გახსნა და ახლოს მყოფი აჯანყებულებიდან ბევრი დახოცა და დაჭრა. აჯანყებულთა წინააღმდეგ შეტევაზე გადმოვიდა თავადი დადეშქელიანი კაზაკთა რაზმით, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავათ დიდი დანაკარგების გამო აჯანყებულებმა უკან დაიხიეს, ცალკეული ბრძოლები ოზურგეთის გარშემო საღამომდე გაგრძელდა. აჯანყებულებმა ოზურგეთზე შეტევის დროს დიდი დანაკარგი განიცადეს 150 მოკლული და გაცილებით ბევრი დაჭრილით. საბოლოოდ აჯანყებულთა შეტევა ოზურგეთის დასაკავებლად მარცხით დასრულდა.

მარცხი გამოიწვია გარკვეულ წილად, ცუდად მომზადებულმა და ნაჩქარევმა იერიშმა. ასევე ოზურგეთში მდგარი ჯარები გაცილებიტ სჯობდა შეიარარებით აჯანყებულებს რამაც ერთობლიობაში იერიშის და აჯანყების მარცხიც გამოიწვია საბოლოოდ.

ოზურგეთზე წარუმატებელმა იერიშმა აჯანყებულებზე მორალურად ცუდად იმოქმედა, მათ გამარჯვების იმედი და ბრძოლის ხალისი დაუკარგა. მათ ვეღარ შეძლეს იმ მორალური უპირატესობის შენარჩუება რაც პირველი წარმატებების შემდეგ ჰქონდათ. ოზურგეთის ალყა კიდევ გრძელდებოდა მაგრამ ახალი იერიშის წამოწყება ვეღარ მოხერხდა. არადა საქმესტან ახლოს მდგომი პირების მტკიცებიტ ერთი იერიში საკმარისი იქნებოდა ოზურგეთის ასაღებად. მაგრამ აჯანყებულები თავდაცვაზე გადავიდნენ, თავდაცვა კი ყოველი აჯანყების მარცხის დასაწყისია.

4.5. აჯანყების დამარცხება და აჯანყებულთა გასამართლება

ოზურგეთზე წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ, აჯანყებულების მდგომარეობა გაუარესდა რადგანაც აჯანყებულებში პირველადი გამარჯვებების შემდეგ გამოწვეული მორალური უპირატესობა დაიკარგა და პირიქით ხელისუფლების მხარეს გადავიდა. ამით კარგად ისარგებლეს რუსებმა და აქტიურ მოქმედებაზე გადავიდნენ.

1841 წლის 2 სექტემბერს, აჯანყებულების მიერ მალთაყვაზე მოწყობილ საგუშაგოს, ბუიუროვი თავს დაესხა და გაანადგურა, ამის შემდეგ მდინარე სუფსაზე მყოფ საგუშაგოზე მიიტანა იერიში და ძლიერი ბრძოლა გაუმართა, ამ ბრძოლების შემდეგ აჯანყებულებმა რამდენიმე საგუშაგო უბრძოლველად დათმეს. ამავე დროს რუსეთის ჯარმა და იმერეთის მილიციამ ჩოხატაურის საგუშაგოც დაიკავა. 2 სექტემბერსვე არღუთინსკი ნაგომრისაკენ დაიძრა და როცა საგუშაგოს მიუახლოვდა აჯანყებულებმა საგუშაგო მიატოვეს და უკან დაიხიეს წინასწარ მოწყობილ პოზიციებზე.

1841 წლის 5 სექტემბერს არღუთინსკიმ მოხერხებული მანევრით ნასაკირალის საგუშაგოს გვერდი აუარა და ოზურგეთში მივიდა. რუსთა ჯარის მოულოდნელმა გამოჩენამ აჯანყებულებში დაბნეულობა გამოიწვია, რუსების ქვეითების, ცხენოსნების და ზარბაზნებით შეტევას აჯანყებულებმა ვეღარ გაუძლეს და უკან დაიხიეს, ამ ბრძოლაში აჯანყებულებმა 60 მებრძოლი დაკარგეს უფრო მეტი კი დაიჭრა, რუსების დანაკარგები კი 12 ჯარისკაცის დაჭრა და 3 მკლული იყო.

6 სექტემბერს არღუთინსკი ნასაკირალის საგუშაგოსკენ დაიძრა, მიუხედავად იმისა რომ აჯანყებულებს უკეთესი პოზიციები ეკავათ, ოზურგეთთან განცდილი მარცხის გავლენით, მათ საგუშაგო მიაოვეს და მახლობელ სოფლებში გაიფანტნენ.

რუსების მიერ მოპოვებულმა გამარჯვებებმა, აჯანყების ბედი უკვე გადაწყვიტა, აჯანყებულების დიდი ნაწილი ოჯახებს დაუბრუნდა და წინააღმდეგობა შეწყვიტა. ორგანიზწბული სამხედრო ძალა რომელიც რუსებს წინააღმდეგობას გაუწევდა აღარ არსებობდა.

1841 წლის 15 სექტებრიდან პოლკოვნიკმა არღუთინსკიმ მოსახლეობის დაფიცება დაიწყო რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. 17 სექტემბერისთვის 1654 აჯანაყებულს გურიანთიდან, ლიხაურიდან, ჩიბათიდან და სხვა სოფლებიდან უკვე დაფიცებული ჰქონდა. 17-29 სექტემბერს არღუთინსკიმ კიდევ 2812 კომლი დააფიცა მეფის ერთგულებაზე.

ამის შემდეგ არღუთინსკი აჯანყებულთა დაკავებაზე გადავიდა, რომელიც ოქტომბერ-ნოემბერში აქტიურ ფაზაში შევიდა. 6 ნოემბრისათვის უკვე შეპყრობილი ყავდათ 16 აჯანყებული, 15 ნოებრისთვის კიდევ 14 აჯანყებული შეიპყრეს მათ შორის აჯანყების აქტიური მონაწილე და ერთ ერთი მოთავე აბესა ბოლქვაძეც. აჯანყებულთა შეპყრობაში რუსებს აქტიურად ეხმარებოდა ოსმალთა რაზმებიც, რომლებიც არზრუმის ფაშამ გამოაგზავნა. რომელთა დახმარებითაც 25 ნოებრისთვის კიდევ 10 აჯანყებული შეიპყრეს, თუმცა რამდენიმე აჯანყებულმა გაქცევა მოასწრო ოსმალეთში რომლების შეპყრობა ვერც ოსმალებმა მოახერხეს.

აჯანყების ძირითადი კერების ჩაქრობისა და აჯანყებულთა მოთავეების შეპყრობის შემდეგ, არღუთინსკიმ ჯარების დისლოკაციის ადგილზე დაბრუნება დაიწყო. 8 დეკემბერს კი არღუთინსკიმ გურია დატოვა და ახალციხეში დაბრუნდა.

აჯანყებულების სასამართლო პროცესი 1842 წლის თებერვალ-მარტში მიმდინარეობდა. 14 აპრილს კავკასიის მთავარმართებელმა გოლოვინმა სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა და შემდეგი დაასკვნა: ,,კანონიერი ხელისუფლებისადმი ურჩობა, რომელსაც თან სდევს სამხედრო

ძალებისადმი აშკარა შეიარაღებული წინაარმდეგობა და ბოროტმოქმედება, რა მიზეზითაც უნდა იყოს იგი წარმოშობილი და რა მიზნითაც უნდა წარმოებდეს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამართლებულ იქნას და დამნაშავენი უსათუოდ მკაცრად უნდა დაისაჯონ“ **(გურული, 2017: 527).**

შეპყრობილი აჯანყებულები სასამართლოზე ორ თანრიგად გაყვეს, რომლებიც სამ-სამ ნაწილად გაიყო. პირველი თანრიგის პირველი ხარისხის დამნაშავეებათ სასამართლომ მიიჩნია: ამბაკო შალიკაშვილი, სვიმონ ქარცივაძე, ქაიხოსრო გუგუნავა და სვიმონ ჭყონია, რომლებსაც შემდეგი განაჩენი გამოუტანეს: ,,თავად შალიკაშვილს, აზნაურ ჭყონიას და ქაიხოსრო გუგუნავას აეყაროთ ყოველგვარი ღირსება, პირველს ჯალათმა თავზე გადაამტვრიოს ხმალი, ხოლო ქაიხოსრო გუგუნავა დაისაჯოს შპიცრუთენებით (რკინის წკეპლით) ორჯერ 500 კაცში გატარებით. სამივე გაიგზავნოს ციმბირში საკატორღო სამუშაოზე. შალიკაშვილს და ჭყონიას ხაზინის სასარგებლოდ ჩამოერთვათ ქონება. აზნაური სვიმონ ქარცივაძე კი განთავისუფლდეს სასჯელისგან და გამოშვებულ იქნას თავდებით“ **(იქვე).** პირველი თანრიგის მეორე და მესამე ხარისხის დამნაშავეებად მიჩნეული იქნენ: გოგია ჯიბლაძე, იასე შეწირული, ესიკა მამულაიშვილი, მახარობელ ჯიბლაძე, სვიმონ ჭყონია, ნიკოლოზ თოიძე, ესიკა ჯიბლაძე, გოგიჩა გორდელაძე. მათი სასჯელი კი შემდეგნაირად განესაზღვრათ: ,,ყველა ხსენებული ბრალდებული, გარდა ესიკა ჯიბლაძისა, დაისაჯოს შპრიცრუთენებით, თვითოული 500 კაცში ორჯერ გატარებით და გაიგზავნოს 10 წლით ბობრუისკში, პატიმართა ასეულში. ხოლო ესიკა ჯიბლაძე მისი ახალგაზრდობის გამო, დაისაჯოს 120 წკეპლით და გაიგზავნოს იმავე პატიმართა ასეულში 10 წლით“ **(იქვე: 528).**

მეორე თანრიგის პირველი ხარისხის დამნაშავეებათ მიჩნეული იქნენ: ნიკოლოზ ვადაჭკორია, ათანასე ვადაჭკორია, ენუქა ვადაჭკორია, გოგია ვადაჭკორია, მათია ჩინჩაბაძე და დათიკა მეგრელაძე. მათ სასჯელი ასე განესაზღვრათ: ,,ენუქ და გოგია ვადაჭკორიები, მათია ჩინჩაბაძე დაისაჯონ

შპრიცრუთენებით თითოეული 500 კაცში ორჯერ გატარებიტ და გაიგზავნონ სევასტოპოლში, პატიმარტა ასეულში 10 წლით. ათანასე და ნიკოლოზ ვადაჭკორიები, დათიკა მეგრელიძე, მათი ახალგაზრდობის გამო დაისაჯონ 120 წკეპლით თითოეული და გაიგზავნონ ბრესტ-ლიტოვსკში, პატიმართა ასეულში, 10 წლით“ **(იქვე).**

მეორე ხარისხის დამნაშავეებათ მიჩნეული იქნენ: ლაზარე ვადაჭკრია და ნიკოლოზ ჩინჩაბაძე. მათი სასჯელი კი ასეთი იყო: ,,გლეხი ნიკოლოზ ჩინჩაბაძე ორჯერ გატარებული იქნას 500 კაციან მწყობრში, ლაზარე ვადაჭკორია ახალგაზრდობის გამო დაისაჯოს 120 წკეპლით, ორივე გაიგზავნოს ბობრიუსკში, პატიმართა ასეულში, 10 წლით.“ **(იქვე: 529).**

მესამე ხარისხის დამნაშავეებათ მიიჩნიეს: გლეხები- ივანე ნიკოლოზის ძე მახარაძე, გიორგი კვაჭანტირაძე, ესიკა ხუხუნაიშვილი,ივანე მახარაძე, ესიკა გელაძე, გოგია დუმბაძე, ესიკა კვაჭანტირაძე, ბუჩა ჩხატარაიშვილი,მაქსიმე ჯორბენაძე, გაბინა ბაქანიძე და დათო ღლონტი. აზნაური ალექსანდრე ნაკაიძე. მათი სასჯელი ასე განისაზღვრა: ,,გიორგი კვაჭანტირაძე, ესიკა ხუხუნაიშვილი, ივანე გრიგოლის ძე მახარაძე, ესიკა გელაძე და გოგია დუმბაძე დაისაჯონ შპრიცრუთენებით 500 კაცში ორჯერ გატარებით და გაიგზავნონ, სევასტოპოლში პატიმართა ასეულში, 7 წლით. ივანე გრიგოლის ძე მახარაძეს, ახალგაზრდობის გამო დაერტყას 105 წკეპლა და გაიგზავნოს იმავე პატიმართა ასეულში 7 წლით. აზნაურ ნაკაიძეს აეყაროს ყოველგვარი ღირსება, გაიგზავნოს ციმბირის საკატორღო სამუშაოზე, ჩამოერთვას, მამული ხაზინის სასარგებლოდ, გლეხ ჯორბენაძეს ახალგაზრდობის გამო დაერტყას 105 წკეპლა და გაიგზავნოს ბრესტ-ლიტოვსკში, პატიმართა ასეულში, 7 წლით. გლეხები ესეკა კვაჭანტირაძე, ჩხატარაიშვილი და ბაქანიძე დაისაჯონ შპიცრუთენებით 500 კაცში ორჯერ გატარებით და გაიგზავნონ იმავე პატიმართა ასეულში 7 წლით“ **(იქვე)**

ქუთაისში გამოტანილი განაჩენი რომელიც გოლოვინმა დაამტიცა, გურიის მაზრის უფროსმა ითხოვა რომ გურიაში არ წაეკითხათ რათა ახალი

მღელვარება არ გამოეწვია. თუმცა მოულოდნელად იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა ,,სულგრძელობა“ გამოიჩინა და სასჯელი ამბაკო შალიკაშვილის გარდა ყველას აპატია.

დასკვნა

ნაშრომში **,,1841 წლის გურიის აჯანყება“** დეტალურათაა განხილული საკითხთან დაკავშირებული წყაროები და ლიტერატურა, რომელიც თავმოყრილია პირველ თავში. ხაზგასმულია, პირველადი ხასიათის წყაროებისა და დოკუმენტების მნიშვნელობა. აღნიშნულია, რომ მართალია რამდენადმე ტენდენციურია საბჭოური პერიოდის ისტორიოგარაფია, თუმც მნიშვნელოვანია რიგ საკითხებთან დაკავშირებით გაკეთებული შეფასებები.

მეორე თავში **,,გურიის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება“** გაკეთებულია მოკლე ექსკურსი XVI-XIX საუკუნის გურიის ისტორიის შესახებ. აღნიშნული, რომ სწორედ არახელსაყრელი საერთაშორისო სიტუაციითაა გამოწწვეული მძიმე საზოგადოებრივ პოლიტიკური მდგომარეობა.

მესამე თავი **,,გურია XIX საუკუნის დასაწყისში“** შედგება ორი პარაგრაფისაგან **,,3.1. პოლიტიკური ვითარება“** და **,,3.2. სოციალურ-ეკონომიკური ვითარება“.** XIX საუკუნის დასაწყისიდანვე გურიის სამთავრო მძიმე პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. რაც, ერთის მხრივ გამოწვეული იყო ფეოდალთა შიდა დაპირისპირებით და მეორეს მხრივ ოსმალთა გამუდმებული შემოსევებით. ამას დაემატა რუსეთის დაინტერესება დასავლეთ საქართველოსა და კონკრეტულად გურიისადმი, რომელიც ასახულ იქნა 1804 წლის ელაზნაურის ტრაქტატსა, თუ 1810 წლის ხელშეკრულებებში. შედეგად გურია რუსეთის მფარველობაში აღმოჩნდა. მოგვიანებით კი, სამთავროც იქნა გაუქმებული. იგი, ოზურგეთის მაზრის სახით ქუთაისის გუბერნიაში შეიყვანეს. უკიდურესად მძიმე იყო სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაც. განხილულია სოციალური იერარქია და ის ვალდებულებები, რომელიც გლეხებსა, თუ მსახურთა ფენებს ევალებოდათ.

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ გურიაში ყმობა მემკვიდრეობით გადადიოდა. საბუთებიდან ირკვევა, რომ გურიაში მრავალი სახის ყმა იყო - ,,შეწირული", ,,ნაწყალობევი", ,,ნასყიდი", ,,სურვილითა"- (ნებიერი) და სხვ. ამათგან ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში იყო ე.წ. ,,სურვილითა". ყველაზე ცუდ მდგომარეობაში იყო ,,ნასყიდი", ,,დაწინდული", ,,მზითეული" ყმები.

ყმა-გლეხები საბატონო ვალდებულების მიხედვით იყოფოდა 4 კატეგორიად: მებეგრეები, აზატები, მსახურები და მოჯალაბეები. განსზღვრულია მათი ვალდებულებები.

გურიაში შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებდა ტყვეთა სყიდვა, რომელსაც ხელს უწყობდა ოსმალეთი.

სამაგისტრო ნაშრომის მეოთხე თავი **,,აჯანყების მსვლელობა"** შედგება ხუთი თავისაგან: **,,4.1. აჯაყების წინაპირობები; 4.2. აჯანყების დაწყება; 4.3.ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები აჯანყების შესაჩერებლად; 4.4. აჯანყების გაძლიერება** და **4.5. აჯანყების დამარცხება და აჯანყებულთა გასამართლება".**

გარდა იმ პრობლემებისა, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ გამახვილებული გვაგვს ყურადღება 1840 წლის 10 აპრილს განის პროექტზე, რომელმაც კიდევ უფრო დაამძიმა გურიის მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობა. ამ რეფორმით განისაზღვრა ორი ტიპის გადასახადი: 1. სასურსათო ბეგარა, რომელსაც ნატურით იხდიდნენ და 2. საერობო შრომითი ბეგარა. ეს იყო ისეთი მძიმე გადასახადები, რომელიც ერთ-ერთი მიზეზი ხდება აჯანყებისაც. პროფესორ ვ. გურულის თქმით: ,,1841 წლის გურიის აჯანყებაში ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ თავადები, აზნაურები და გლეხები. აჯანყება მთელ გურიას მოედო..."

აზნაურთა მხრიდან აჯანყების აქტიური წევრები იყვნენ: სიმონ გოგოლიშვილი, აბესა ბოლქვაძე, ათარმიზა თოიძე, ქაიხოსრო გუგუნავა, ლევან

გოჯასპირ და სიმონ ჭყონიები, ალექსანდრე ნაკაიძე, სიმონ, ალექსანდრე და გოგია ქარცივაძეები და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ მაზრის უფროსი იაცენკო, რუს ჯარისკაცთა ასეულით შევიდა გურიის სოფელ აკეთში. აჯანყება მაინც გავრცელდა სხვა სოფლებში: ჭანჭათში, შემოქმედში, ლიხაურში, დვუაბზუ, გურიანთა. სწორედ გურიანთაში გაიმართა შეტაკება აჯანყებულებსა და მთავრობის ერთგულ მაიორ გიორგი ნაკაშიძეს შორის. ამ ბრძოლასთან დაკავშირებით მკვლევარმა პ. უმიკაშვილმა შემოგვინახა ხალხური ლექსი:

,, ქვიტირზედ რომ ჩავაწიეთ, ნაკაშიძე წინ დაგვირჩა,

გვესროლა, მოგვიკვდა კაცი, კაძახობა სულ წაგვიხდა,

მაგიერი ვერ ვესროლეთ, ტამბასა ტყვია გაგვირჩა“.

ამის შემდეგ აჯანყებულებმა ტყეს შეაფარეს თავი. ამ ბრძოლის შემდეგ, მცირე ხნის შემდეგ, სოფელ აკეთის მოსახლეობა ისევ აჯანყდა. აჯანყება ჩოხატაურსაც მოედო.

ამ დროს გურიაში არ იმყოფებოდა, საქართველო-იმერეთის გუბერნიის, იმერეთის, სამეგრელოს და გურიის სამხედრო ნაწილის უფროსი პოლკოვნიკი ალექსეი ბრუსილოვი. იგი საგანგებოდ დაბრუნდა უკან. იმავე წლის 9 აგვისტოს ბრუსილოვის რაზმმა სოფელ გოგორეთთან ბრძოლა გაუმართა აჯანყებულებს, რომლებსაც აბესა ბოლქვაძე მეთაურობდა. ბრუსილოვი დამარცხდა.

10 აგვისტოს აჯანყებულებმა წმინდა ნიკოლოზის სიმაგრე და მდინარე სუფსაზე არსებული გადასასვლელები დაიკავეს. 13 აგვისტოს კი, გურიანთაში მყოფმა გარნიზონის უფროსმა პორუჩიკმა მიქელაძემ აჯანყებულებთან დაპირისპირება ვერ გაბედა და გაიპარა.

თუმც, საბოლოოდ აჯანყების ძირითადი კერები ჩააქრეს და აჯანყებულთა მოთავეები დააპატიმრეს.

აჯანყებულთა სასამართლო პროცესი 1842 წლის თებერვალ-მარტში მიმდინარეობდა. 14 აპრილს კი, კავკასიის მთავარმართებელმა გოლოვინმა სასამართლოს საბოლოო ვერდიქტი დაამტკიცა. იგი საკმაოდ მძიმე იყო. გურიის მაზრის უფროსმა ითხოვა, რომ ამ სასამართლოს განაჩენი გურიაში არ წაეკითხათ რათა ახალი აჯანყება არ გამოეწვია. მოგვიანებით, იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა „სულგრძელობა“ გამოიჩინა და სასჯელი ამბაკო შალიკაშვილის გარდა ყველას აპატია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბენდიანიშვილი, ალ. (1980), ეროვნული საკითხი საქართველოში, 1801-1921 წ.წ., თბილისი: მეცნიერება
2. ბენდიანიშვილი, ალ. (1999), საქართველოს ისტორია, თბილისი
3. ბენდიანიშვილი, ალ., დაუშვილი, ალ., სამსონაძე, მ., ქოქრაშვილი, ხ., ჭუმბურიძე, დ., და ჯანელიძე, ო.(2008). რუსული კოლონიალიზმი საქართველოში. თბილისი.
4. ნ.ბერძენიშვილი, რეცენზია ა. კიკვიძის სადოქტორო დისერტაციაზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში, ,,ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები“, 1, თ 1955წ.
5. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, 2, საბუთები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერზენიშვილმა, თბ., 1953
6. **ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს., 1950**
7. **დადიანი** ნ., დადიანი, ქართველთ ცხოვრება, 1962
8. **დუმბაძე მ.. 1954** მ. დუმბაძე, გურიის სამთავროს სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XIX საუკუნის პირველ მესამედში. ,, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის“, თბ., 1954წ.
9. დუმბაძე, მ. (1957). დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში.: თბილისი.
10. დუმბაძე, მ. (1973). იმერეთის სახელმწიფოს გაუქმება და ცარიზმის ბატონობის გაფართოება საქართელოში. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები,.(IVტ.), თბილისი,: საბჭოთა საქართველო.
11. ს. კაკაბაძე, მასალები დას. სოციალური და ეკონომიური ისტორიისთვის, ,, საისტორიო კრებული,“ წ,1. თბ. 1928
12. ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954
13. **მეუნარგია ი., 1942წ.** ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, ტ. 2, 1942
14. **სახოკია თ., 1950** თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ. 1950
15. **უმიკაშვილი პ.,1937წ. გვ.128-129).** პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, თბ., 1937წ
16. **ღლონტი ალ., 1937წ. გვ. 107).** ალ. ღლონტი, გურული ფოლკლორი, ნაწ., 1, თბ.,
17. ზ. ჭიჭინაძე, საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები, 1, თბ 1924
18. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი 1, თბ. 1930

19. გ. ხაჭაპურიძე, გურიის აჯანყება 1841 წელს, თბ., 1931
20. ხომერიკი, მ. (2012), 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები. თბილისი: უნივერსალი.
21. Акты, собранные Кавказской археографической комиссией, т. V. 1867
22. Акты, собранные Кавказской археографической комиссией 1868
23. Акты, собранные Кавказской археографической комиссией 1869
24. Акты, собранные Кавказской археографической комиссией 1874
25. Д. Бакрадзе, Краткий очерк Гурии, 1878 г
26. Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПБ. 1878 г.
27. **ევეცკი ო., 1835** О. Евецкий, Статистическое описание Закавказского края, СПБ, 1835 г.
28. А. Фирхалаишвили, Имеретия и Гурия в период 1804-1840 г. <<Материалы по истории Грузии и Кавказа>>, Тб., 1942 г., вып. I.
29. (მალეშკო, 1848: 89-90) Мелешко, „Кавказ", 1848, №1-2.
30. **Извѣстія древнихъ греческихъ и римскихъ писателей о Кавказѣ. Часть II, 1953**
31. **А. Цагарели. Грамоты и другие исторические документы, т. II, СПБ, 1891**
32. **ჩუდინოვი ვ., 1841წ. გვ. 223).** В. Чудинов, Возетание гурийев 1841 г. Сельское хозяйство и аграрное отношение, Т. I, Тб., 1937 г., сост. П. Гугушвили